

მამულა

ცუროს ბედაზე თუ
ფეხშიშვლი ან გუგათი, რას...

წერილის ასლი ეგზარქატს პრეზიდენტს

დავახუსთო შაჰის დღე!



გაუგებია ხეზე სიხველი!
 გაბი "მამულა" ახალი ინსტრუქტორი გამოდის...
 - დაუჩქროთ მამო დღე საქართველოში!
 ისე რომანც დედა, დავერახებოთ, რომ მამოც და მამულაზეც
 უფროსი ცუროს. ამ ცუროს მხრებზე მოვიდეთ ეს დღესაც გათავისცემ
 საქართველოში, დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი მანდაც რომ სერეთი
 გვქონდეთ.
 დაუჩქროთ რით რამში დღე ხეზე მივსვით და მამო, გუგათი და
 მამოც ვუხარია მამობისათ.
 განდევნილი მამო ხსენსადმი სსმები მაგა ავითო, სხვები
 ავითო სავსებთან და მესერი საქართველოში გავაგონო:
 - მამო დღე გლოცვ, მამა!
 გუგათი? არა! ამ დღესაც მერეთაც მესერებშიც აღნიშნავ
 და ათი ხში უვამბ მამო, რომან თანადანი სეტიქელ არებთან დღე
 გვინდო.
 დღე დღე თუ ქალი დღე წინა ცეცხლშიც ეს არა, თვეში სავსეში
 მივსვით და მამოც დაუჩქრო. ამიტომ სავსეში თუ დაუჩქროთ...
 ხედა, უსახეო ამ სავსეში და დაუჩქრო 365-დღის სავსეში რი-
 თი, სე რასაც 24-სათთან დღე მამო! მანქა 24-სათთან...

და მამო, ამ დღე ავითოთ 1 თვეში, თანა მამოც მამოც თუ, თანა მამოც ხეზე
 სავსეშიც მამო - ხეზე სეტი მამოც დაუჩქროთ დამოც დღე...
 ათი ფეხზე დაუჩქროთ მამო ხსენსაც და ამ ხში სავსეშიც ქალიც და მანდაც
 სეტიქელშიც დაუჩქროთ...
 ამ უსახეო მსახურში ქალიც მამო მანდაც უსახე-
 თი სეტიქელშიც და ათი დღესაც დაუჩქროთ...
 მამო დღე დასეტიქელშიც დაუჩქროთ...
 თუ სეტიქელშიც ქალიც, მამოც სავსეშიც ქალიც
 დღე დაუჩქროთ მამოც, მამოც დაუჩქროთ ამ უსახე-
 თი სავსეშიც დაუჩქროთ სეტიქელშიც ქალიც მამოც დაუჩქროთ
 - სეტიქელშიც მამოც და მამოც დაუჩქროთ 95
 წელ თვე დაუჩქროთ მამოც დღე!
 და მამოც დაუჩქროთ ხეზე მამო!



მანუხან საქართველო,
 გაბი "მამულა" რედაქციის სეტიქელში

მთავარი რედაქტორი
მანუჩარ კატახიძე

Editor-in-chief
Manuchar KATCHAKHIDZE



კოლექცია: ეკა მაისურაძე (რედაქტორი), ალექსი ამაშუკელი, ნატო ციციშვილი (რედაქტორი თბილისში), ნინო ხაბელაშვილი (რედაქტორი გერმანიაში), დათო გაგუა, ეკა ყარალაშვილი (სარეკლამო მენეჯერი),

Board: Ekaterine Maisuradze (Editor), Alex Amashukeli, Nato Tsitsishvili (Editor in Tbilisi), Nino Khabelashvili (Editor in Germany), Dato Gagua, Eka Karalashvili (Advertisement manager).

შოთას მოგვიკლეს!



ვინ უღის ქართულ კვალს?!

ამას სულმეორული ბრძანებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II იმ გაუგონარ დანაშაულთან დაკავშირებით, რაც სულ ახლახან იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტერში მოუმოქმედებია ხელმწიფე ადამიანს.

ქართულ მონასტერში შემორჩენილ XIII საუკუნის ფრესკაზე მოგახსენებთ - შოთა რუსთაველის იერსახე რომ შემოგვინახა - დღეს კი ის თითქმის განადგურებულია!

ნუთუ შესაძლოა ამგვარი მკრეხელობის ავტორს სწამდეს რაიმე წმინდა....

... გასული საუკუნის შუა წლებში ქართველმა მეცნიერებმა აკაკი შანიძემ, გიორგი წერეთელმა და პოეტმა ირაკლი აბაშიძემ იერუსალიმში მიაკვლიეს ქართულ მონასტერში ამ სასუკვარ ფრესკას, რაც საკვებონდ გახდა ცნობილი და პოეტ ირაკლი აბაშიძისთვის შთაგონების ახალ წყაროდ იქცა!

“გულთი წყურთა შენს შორეულ შთამომავალს წარმოედგინა, რას განიცდიდი და ფიქრობ-

დი შენ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში” - წერს პოეტი თავისი გულშიჩამწვდომი ციკლის “პალესტინა, პალესტინას” წინათქმამში.

ამ ციკლის პირველი ლექსია “შენ აქ ხარ”... მაგრამ ახლა, როცა პოეტის ხატი ხელყოფილია და არა მარტო ხატი, არამედ წარწერაც, რომელშიც მკაფიოდ ივითხებოდა მისი ვინაობა, - ახლა იერუსალიმში ჩასული ქართველი ვეღარ შეეხმიანება ირაკლი აბაშიძის ლექსით მხცოვანი პოეტის მავდრებელ ფრესკას.

რა სასჯელი უნდა გამოიგონოს კაცობრიობამ XXI საუკუნის ჰეროსტრატეს აღსაკვეთად არტემიდეს ტაძარი რომ ხელყო ეფესოში ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე თუნდა ცუდკაცობით, მაგრამ საუკუნოდ ცნობილი ხომ ვიქნებით!...

... ამბობენ ფრესკის აღდგენა საეჭვოაო... უსულო კედელმა შემოინახა ქართველი პოეტის სახე - სულიერმა არსებამ კი წასაშლელად გაიმეტა, - მაგრამ ჩვენი გულებიდან და მესხიერებიდან ხომ ვეღარ ამოშლის!.

შენ აქ ხარ, აქ ხარ... მონასტრის კარებს - ათასწლის ლოცვებს, ღაღადისს, ქარებს ძაგძაგით, უხმოდ შევახეთ ხელი... გალავნის უკან ჯახანი ხმელი, გალავნის უკან - ათასწლის ზარი - და ჩვენ წინ მძიმედ გაიღო კარი მონასტრის - არა, კლდეკარის ხვეული. შენ აქ ხარ, აქ ხარ...

შენს კვალზე მავალს, ამ ზღაპრულ კართან ახლა რომ ვდგავარ, მშობელი მიწის ეს მედო ვალი... მორჩა!

აქ შენი დასრულდა კვალი, აქ შენი ჩუმი ფეხის ხმა შეწყდა; ვდგავარ შენს სახლთან, შენს ჩამქრალ ცეცხლთან, სად, სად არ გძებნე - მესხეთს

თუ სამცხეს; მე გული ჩემი შენს მონად ვრაცხე, კვალდაკვალ მოგვევ კლდეში თუ ღრეში, მაგრამ ზედ მტკვართან, მაგრამ ზედ თმოგვთან ნავალი შენი ბილიციც მოგვდა და საზღვრის ხაზთან დაკვარვე გეში. ინდთან და განგთან, ფენჯაბს და ლაპორს, შორს, სულ შორს, მაგრამ

ახლოს, სულ ახლოს შენი ხმა მოსწვდა ჩემს მგოსნურ გუმანს, მეც სმენა ჩემი დავძაბე უმაღ და მგოსნის გზებით, და მღვერის გზებით.

ვაქვე და ვთუელე მაშრიფის გზები, მაგრამ ის გზებიც სდუმან და სდუმან. სადაც არ მიველ, სადაც არ წაველ, მე ნატვრა ერთი დამდევდა მწვავე.

ერთ უთქმელ სიზმარს ვწერდი და ვხევიდი, ერთ უქმნელ სურათს ვქმნიდი და ვშლიდი, მე შენს თეთრ აჩრდილს კვალდაკვალ ვდევდი - მესმოდა შენი ფეხის ხმა მშვიდი. შენ აქ ხარ, აქ ხარ...

დასრულდა კვალი, მშობელი მიწის ეს მედო ვალი; აქ შენი მშვიდი ნაბიჯი შეწყდა, აქ დაწდა ცრემლი, ხმელეთს რომ რეცხდა, ვდგავარ შენს სახლთან, შენს ჩამქრალ ცეცხლთან წუხილი მესხთა, ძახილი მესხთა.

ირაკლი აბაშიძე, 1963

დასაწყისი 3-3 გვერდიდან>>>
 დღით გვათხოვთ ჩვენი ძველი ხელნაწერები, ისე, როგორც ჩვენ საბჭოთა კავშირიდან თვეობით ვუგზავნი ხოლმე უცხოელ მეცნიერებს მათთვის საინტერესო ხელნაწერებს პარიზში, ლონდონში, ამერიკაში, სამუშაოდ, შესასწავლად. ანდა, თავად თქვენც ხომ ათხოვეთ ჩვენი ქართული ხელნაწერები ამ რამდენიმე წლის წინ ამერიკელ მეცნიერს კლარკს და მიეცით საშუალება გადაეღო მათი ფოტობიურები, მიკროფილმები და წაეღო თავის ქვეყანაში? - აქ პატრიარქი ბენედიქტე პასუხობს:

- ეს ტიპოთემ დართო ნება ამერიკელს, ტიპოთემ, რომელიც ჩემამდე იყო იერუსალიმის პატრიარქად, მე რომ ვყოფილიყავი, ამაზე არასგზობთ არ დავთანხმდებოდი.

ერთი სიტყვით, ბერძენმა პატრიარქმა ბენედიქტე მეორემ ყველაფერზე უარი გვითხრა. ჩვენ შევცქეროდით ერთმანეთის მღვლარე სახეებს ჩვენებური თავშეკავებით. შევცქეროდით ბერძენის პატრიარქს, რომელიც, თავის მხრივ, ვიცე-კონსულს მიხერებოდა: - აგე, ნახე, როგორ კარგად ვპასუხობო.

ჩვენს შეკითხვაზე: გინახავთ თქვენ, რა მდგომარეობაშია დღეს ძველი ჯვარის მონასტერი-თქო? პატრიარქი უცებ წამოგა: წავედით, ენახოთ ერთი, ეგ რა მონასტერიაო. პირველად განიხილა იმ მონასტრის ნახვა, რომლის ქარადაც ამას წინათ დიდი თანხა მიიღო საბერძნეთის ეკლესიამ ისრაელის სამხედრო უწყებიდან.

ბოროტი ენები ამბობენ, ბერძენის იერუსალიმელი პატრიარქი მონასტერს ჰყიდის კიდევ, მაგრამ მყიდველთან ფასში ვერ მორიგებულაო.

ჩაისხა თავისი მღვდლები ვასილი და ქრისანთი პატრიარქმა თავის მანქანაში, რომელიც მისთვის აგერ ამ დღეებში იორდანის მუხე ჰუსეინის უწყებებია და მონასტრისაკენ დაიძრა. ჩავსხედით ჩვენც ჩვენს მანქანაში და გავეყვით.

მივედით მონასტერში. გაიღო კარები და ჰოი საკვირველებზე, საბერძნეთის სამღვდლოების ეს უჩინაესი პირები მონასტერში ისე შევიდნენ, პირჯვარი არ გადაუწერიათ, თითქოს ეს ქრისტიანული სამლოცველო კი არა, არამედ მიხვითი, ან სინაგოგა ყოფილიყო. და შევიდნენ ისე აბრიალებული თვალებით, კაცს ეგონებოდა, მონასტერში კი არა, ვიღაც სისხლის სამართლის დამნაშავეს ოჯახში "ობისზე" მივიდნენო.

პირდაპირ საღებავადაცვილი, წაშლილი, წარყვნილ ფრესკებსა და წარწერებთან მივიყვანეთ; თვალი აარიდა და სხვა მხარეს გაიხედა. ახლა იქითაც იმ მხარისაკენაც მივითითეთ, წაშლილ ფრესკებსა და წარწერებზე, მასაც თვალი აარიდა: ეს მონასტრის შემკეთებული ხელოსნების, მუშების ბრაღია, მათ არ იციან რასა სწავლიანო. ამ პატრიარქს ამჟამად აღარ გახსენებია, თურქებისათვის დაებრალბებინა ყველაფერი.

ისევ გაუგებოდა ჩვენი სამი თხოვნა. ისევ - კატეგორიული უარი ჩვენს სამთავო თხოვნაზე. - ფოტოსურათები გადაიღეთ, ამის ნებას გრთავთ, კედლებს კი ხელი არ ახლოთო. შემდეგ იქვე მდგომ მონასტრის ბერძენ ბერებს მიუბრუნდა და წინადადება მისცა, ფოტოსურათების გადაღების დროს ამათ არ მოშორდეთო.

ქსანტოპულოსი ვითხოვსავეთ შეძერა საკურთხეველში. ტრაპეზის ძირში, იქ, სადაც ქრისტეს ჯვარის ლეგენდარული ხის ძირია, ფარულად ღრმად გამოკვეთილ ქვაში მოთავსებული იყო ვერცხლის ყუთი, რომელშიც დიდი ოქროს ჯვარი იდო, ძვირფასი თვალმარგალიტით მოჭრილი. ეს ჯვარი 1643 წელს შეუწირავს მონასტრისთ-

ვის ლევან დადიანის დავალებით ჯვარის მამას ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს. ქსანტოპულოსიც იქ მივიდა და თავისთან მიიხმო პატრიარქის თანხმლები არქიტექტორები ქრისანთი და ვასილი.

სხვათა შორის, ეს ჯვარი და მასზე ქართული წარწერა აღწერილი და შესწავლილი არა აქვს არც ცაგარელს და არც სხვა ქართველ მოგზაურთ. ეტყობა, იგი ჩვენამდე ცნობილი არ იყო.

და უცებ არქიმანდრიტ ქრისანთის ხელში გაიღევა ამ უნიკალურმა ვერ-



ცხლის ყუთმა ქართული წარწერებით, ძვირფასი თვლებით მოჭრილმა ოქროს ჯვარმა. არქიმანდრიტის თვალეზი ელაკდნენ მტაცებლის თვალთა ელვარებით. ჩვენ დაბეჯითებით მივითხოვეთ, არ წაეღოთ ადგილიდან ეს ჯვარი, რომელიც ჯერ მეცნიერულად შესწავლილი არაა; ეს მათ სასაცილოდაც კი არ ეყოთ. ჩვენ ვუბნებთ: ეგ ჯვარიც და თვითონ ჯვარის მონასტერიც ახლა ხომ თქვენს ხელშია, ჩვენს თვალწინ ნუ ჩადენთ ასეთ საქციელს, წაიღეთ ხვალ ან ზეგროცა ჩვენ აქ არ ვიქნებით. არც ეს ეყოთ სასაცილოდ, ყურიც კი არ გვათხოვეს. განსაკუთრებული მტაცებლური, არაადამიანური თვისებები გამოამჟღავნა არქიმანდრიტმა ქრისანთმა, სისხლი აუვარდა თვალეზში და გაბრიალებულ ლოყებში.

ეს არქიმანდრიტი წონით დაახლოებით 160 კილო იქნებოდა. მშვენიერად უწოდა შემდეგ აკადემიოსმა აკაკი შანიძემ ამ არქიმანდრიტს: "არქიმანდრიტი".

მოიტაცეს ძვირფასი, ხელოვნების უნიკალური ნაწარმოები, დღემდე უცნობი ქართული წარწერით და სწრაფად ჩასხდნენ მანქანაში.

გავეყვით ჩვენც უკან. შეჩერდნენ ბერძენების საკონსულოს წინ. შეჩერდით ჩვენც და ჩამოვხტით მანქანიდან.

ისევ დაბეჯითებით ვითხოვეთ ამ უნიკალური ნაწარმოების ფოტოგრაფიული სურათის გადაღების ნებათაუბანიც.

პატრიარქი მოგვაშტერდა ყოვლად გამოციებული, უსაქმური კაცის თვალებით, მერე ოდნავ თითქოს გაეღიმა და გონებით გაკოტრებული, მაგრამ მაინც დიდკაციური ქედმაღლობით გამოგვხედა.

სახელწოდებები, უსაზღვროდ შეფარული მღვლარებით იდგნენ მის წინ

ჩვენი გამოჩინილი მეცნიერები...

მერე, როცა ზედმეტი აღელვება შეგვატყვევს, არქიმანდრიტმა ქრისანთმა გადმოგვცა მაღალი, მოწყალებული ბერძენთა პატრიარქისა: - ხვალ დილით აქ, საკონსულოში, მოდი, ეს ჯვარი აქ იქნება და გადაიღეთ ფოტოსურათითო.

მე აქ ერთი დღით წინ წავუწერე ჩვენს დღიურებს: "ხვალ დილით" საკონსულოში მისვლისას ჩვენ გვაცნობეს: ბერძენთა პატრიარქი წუხელ წავიდა ქალაქიდან და თქვენი ქართული ჯვარი თან წაიღო (კიდევ კარგი,

იცვლებოდა თუ არა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს დამოკიდებულება ჯვარის მონასტრის ქართული სიძველეებისადმი? ამ კითხვებით ჩვენ ბატონ ჯემალ აჯაშვილს მივმართეთ. იგი პირველად 1988 წელს ჩავიდა ისრაელში. მოინახულა იერუსალიმი. რა თქმა უნდა, იყო ჯვარის მონასტერში. შესახებ არსებული ლეგენდის გახსენებით დაიწყო ჩვენთან საუბარი: "მისი შესახებ, რატომ ჰქვია ქართული კულტურის ამ უდიდეს ძეგლს ჯვარის მონასტერი, არსებობს ასეთი ლეგენდა: თურმე ბიბლიურმა პატრიარქმა აბრაამმა თავის ძმისწულს, ლოტს, სამი ხე უსასხოვრა: კედარი, კვიპაროსი და ფიჭვი. ლოტს ეს სამი ხე იმ ადგილას დაურგავს, სადაც დღეს ჯვარის მონასტერი დგას. დროთა განმავლობაში ხეები ერთმანეთს შეხრდიან და ერთ ხედ ქცეულან. აბრაამი და ლოტი, სავარაუდოდ, ამ ითხი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-10 საუკუნეში, როცა მეფე სოლომონი იერუსალიმში თავის დიდებულ ტაძარს აგებდა, მშენებლებს, სხვა სამშენებლო მასალასთან ერთად, თურმე ამ ხის გამოყენებაც უცდიათ, მაგრამ უშედეგოდ. ასე მოუღწევია ამ ხეს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდე. გადმოცემით, ამ ხისგან გამოჭრეს ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი მიუძღვრილა. ჯვარის მონასტერში, ზედ საკურთხეველის უკან, მოინიშნება ის ადგილი, სადაც, ლეგენდის მიხედვით, ლოტის ხე იდგა. ამიტომაც აქვს ამ მონასტერს ქართველთათვის უდიდესი მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, 1987 წლის 2 აგვისტოს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა. იმავე წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ილია მართლის სატი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში წააბრძანა. მონასტერში ხატის დასვენებას, როგორც გადმოგვცემენ, ჩვენი ყოფილი თანამემამულეებიც, ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელებიც, ესწრებოდნენ. ყველა აღტაცებული იყო მოხდარით. წმიდა ილია მართლის ხატი საკურთხეველის უკან იმ ადგილას დასვენეს, სადაც თავის დროზე ლოტის ხე მოიჭრა. ხატის სწორედ აქ დასვენებას ჰქონდა გარკვეული დატვირთვა - ილია მართალმა ხომ თავისებურად გაიმეორა მაცხოვრის გზა - წამებისა და ამაღლების გზა.

ისრაელში რომ ჩავედ, ვერ კიდევ არ განვლევდით ხატის ჩამობრძანებით გამოწვეული განცდები. ისრაელში ქართული კულტურის დღეები იყო და ის დღეები თითქოს ჯვარის მონასტრის ნიშნითაც მიმდინარეობდა. კულტურის დღეების პროგრამაში შედიოდა ვერაფერ ანგაფარისის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის საქმეების ჩვენება, კოტე მახარაძის მონაწილეობით. წარმოდგენა ჩემი მონაბივის მიხედვით იყო განხორციელებული და ქართულ-ებრაული ურთიერთობების შესახებ მოგვითხრობდა.

იმ დღეებში ჩვენთან მოვიდა ჩვენი ყოფილი თანამემამულე, ამჟამად ისრაელში მცხოვრები მწერალი ბორის გასი, რომელმაც მე და ბატონებმა: ნოდარ გურაბანიძე და აწ განსვენებული ნოდარ ჯანბერიძე იერუსალიმის ჯვარის მონასტერში წავიყვანა. გასმა ძალიან კარგად იცოდა ამ მონასტერთან დაკავშირებული პერიპეტები, მისი მთელი ისტორია. წიგნიც ჰქონდა გამოცემული ჯვარის მონასტრის შესახებ.

მონასტერმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩემთვის, რასაკვირველია, მხელდა იმ ემოციების გადმოცემა, რუსთაველის ფრესკის ხილვამ

რომ ადგილია. გემასპინძლობდა მონასტრის წინამძღვარი, მამა სერაფიმი - კუბიდან გამოქცეული მართლმადიდებელი, ეროვნებით ბერძენი. საკმაოდ განათლებული კაცი იყო, თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ენას. გასთან, როგორც გარეგნულად ჩანდა, კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენც ძალიან თბილად მივიღეთ. ბევრი რამ გვიჩვენა მონასტრის ქართულ სიძველეთაგან. წმიდა ილია მართლის ხატი იმავე ადგილას ესვენა, სადაც ილია II დააბრძანა. 1988 წელს, ისრაელში ჩემი პირველი ვიზიტის დროს, ჯვარის მონასტერს არავითარი აბრა არ ჰქონდა - მისი წარმომავლობის აღსანიშნავად.

შემდგომში მე თითქმის ყოველ წელს ჩავდიოდი იერუსალიმში. ყოველთვის ენახულობდი ჯვარის მონასტერს. 90-იანი წლების დასაწყისში ჯვარის მონასტერზე განიდა აბრა, რომელიც გვაუწყებდა, რომ ტაძარი იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს ეკუთვნის.

90-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ისრაელში გახლდით, როგორც დელეგაციის ერთ-ერთი წევრი. ბატონი ფანაა ჯვარის მონასტერში მიიწვიეს. მამნ შევნიშნე, რომ წმიდა ილიას ხატი უწინდებურად საკურთხეველის უკან აღარ იყო დასვენებული. სამაგიეროდ, მონასტრის იმჟამინდელი წინამძღვრის კაბინეტში, კედელზე, ეკიდა. მე არ ვიცი, რატომ - შეიძლება სულაც იმ დღეს "დააბნავეს" იქ - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი პატივისცემის ნიშნად.

კიდევ ერთი ფაქტი მახსენდება: 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს პრეზიდენტის დელეგაციასთან ერთად კიდევ მომიწია ისრაელში ჩასვლამ. ჯვარის მონასტრის დათვალიერების დროს მოვისმინე იქაური გიდის ნაამბობი მონასტრის ისტორიის შესახებ. ის საკმაოდ ხატოვნად, ამაღლებულად ყვებოდა მონასტრის ისტორიას. მაგრამ მისი ნაამბობი იყო ტენდენციური. მსმენელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ჯვარის მონასტერი ბერძენებმა დააარსეს, შემდგომშიც ისინი პატრონობდნენ, ქართველები კი თითქოს დროდადრო გამოდიოდნენ ავანსცენაზე.

ქრისტეშობიდან 2000 წლის აღსანიშნავ ზეიმს, მოგესხენებოთ, პრეზიდენტის შეგარდაძე დაესწრა. პრეზიდენტის დელეგაციას მუც ვახლდი. ჯვარის მონასტერი, რა თქმა უნდა, მამინაც მოინახულეთ. ამჯერად წმიდა ილია მართლის ხატი რუსთაველის ფრესკის პირდაპირ იყო დასვენებული - როგორც ჩანს, იმიტომ, საქართველოს პრეზიდენტისთვის რომ ესამოწმებინათ. ასე წარამარა უცვლიდნენ ილია მართლის ხატს "ადგილმდებარეობას".

ფაქტია, რომ საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული კვალის წაშლა ჯვარის მონასტერში. ქართული სიძველეების გაქრობის პროცესი დღესაც გრძელდება. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელზეც დიღს ყურადღების გამახვილება: ამ თვის ბოლოს უნდა შედგეს საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ისრაელში. ამ ვიზიტისთვის მზადდება, თითქმის მთელი წელია, მიმდინარეობს. ისრაელის ქართველი ებრაელების ინიციატივით, გადაწყვეტილია, ჯვარის მონასტრის მიმდებარე ქუჩას დაერქვას რუსთაველის სახელი. იქნებ ამ ფაქტმა გამოიწვია ვინმეს გაღიზიანება? იქნებ რუსთაველის ფრესკის დაზიანება არის რეაქცია იმ შიშზე, რომელიც ქართული მხარის გააქტიურებამ გაუჩინა იერუსალიმში ჰეგემონობის პრეტენზიის მქონე ბერძენ სამღვდლოებს? ■


საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ უპირველესად ხელოვნება და ხელოვანი ხალხი შეაბარბაცა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდი ხნის განმავლობაში გაუფასურდა. ვინც სულიერ საუნჯეს ფლობდა, ისევ სულიერი დარჩა, ვინც სიყვითლად და სინაზით სავსე იყო, არ გაბოროტებულა, ვინც იცოდა "ვისი გორისა" იყო, ისევ იცის... ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ გავიფიქრე, როდესაც ცნობილ მსახიობს - კახი კავსაძეს შევხვდი. ყველას სმენია ბატონი კახის სულიერი ძალის, "ჭირსა შიგან გამაგრების" უნარის შესახებ. სწორედ შინაგანი სამყაროს დამსახურებაა, რომ მას არც ასაკი ეტყობა და არც დაღლა. პანი პანსამმ გვიამბო:

- ხშირად მიხდება რუსეთში ჩასვლა. კაც პოეტიკურად? - მეკითხებიან კოლეგები თანაგრძობით. კაც ეტო, კაც პოეტიკურად. პოეტიკურად ვი მენია ფილმები? ნავერნოე ხუფე მოსკვი, ნო ლუჩმე როსიი-მეთქი, ვასუსობ.

ასეა, გავიდნენ რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სოფლებში მოსკოველები და ნახონ, როგორ ცხოვრობენ "რასიელები". ჩვეულებრივად ვცხოვრობთ ქართველები. ძალიან მაინტერესებს ერთი, როდის ვცხოვრობდით ძალიან კარგად. მე არ მახსოვს! მამა ჯარში წავიდა, მერე რეპრესირებული იყო. ჩვენ დედასთან ვცხოვრობდით. ძალიან გვიჭირდა, არასდროს არაფერი არ გვქონდა. მერე არტისტი გახდით. არც მამინ მქონია რამე... ერთადერთი ის იყო კარგი, რომ ახალგაზრდა ვიყავი, ცხოვრება მიხაროდა.

- ახლა არ გინდათ ცხოვრება? - ახლა? რა გითხრათ... ახლა მიხარია ჩემი ქვეყნის წარმატება, ჩემი შვილების, შვილიშვილების კარგად ყოფნა. ახალგაზრდობის დროინდელი სიხარული სულ სხვაა. ის იმედების, პერსპექტივების განცდა იყო. მაშინ მომავლით ვცხოვრობდი. ახლა დღევანდელი დღითა და წარსულით უფრო ვცხოვრობ, ვიდრე მომავლით. თანაც, ახლა აღარც ჯვანი მომიღვს, ანდენი დრო გავიდა. რაღაც-რაღაცებში დაერწმუნე. მე რომ მეგონა, ისე არ ყოფილა ყველაფერი. როცა მომავალი წინ არის, იმედით ცხოვრობ. მერე გითავდება იმედის "საგზალი", მერე მოთმინებაც ვითავდება... ერთ წელიწადში 70 წლის ვხვდები. ამ ასაკის კაცს რომ ვნახავდი, ვიფიქრებდი, რა ამაზი, რამდენი უცოცხლია-მეთქი. არადა ახლაც ზუსტად ისევე მინდა სიცოცხლე, როგორც ახალგაზრდობაში მიხლოდა. ერთხელ აკაცი ვასაძე შემხვდა ქუჩაში. ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, მეც მის თეატრში ვმუშაობდი (ხომ წარმოგიგონებიათ, რა ბედნიერება ჩემთვის, იმ სცენაზე რომ ვიდექი, სადაც აკაცი ვასაძე და აკაცი ხორავა თამაშობდნენ). ბატონმა აკაკიმ მითხრა: - რას შერებ, რას აკეთებ. უუთხარი, - ახლა რეპეტიციები მივდივარ, მერე გადავხვები მაქვს, მერე სპექტაკლი მაქვს, მერე კიდევ გადავხვები მაქვს დილაღად... მიყურა, მიყურა და, - ყოჩაღ შენ, რომ უძლებ, მე ახლა ერთ საქმეს თუ გავუძლებ, თორემ ორი და სამი ერთად ვარ შემიძლია. გამივივინა, როგორ არ შეუძლია რეპეტიცია, სპექტაკლი და გადავხვები ერთ დღეში-მეთქი. ახლა ვხვდები ყველაფერს. ჩვენ ხომ ასე ვცხოვრობთ. კაცი მაინცდამაინც ორბოში უნდა ჩავარდეს, რომ მიხვდეს, იქ ორბო ყოფილა. ახლა ჩემთვისაც შეუძლებელია ორი-სამი საქმის ერთად კეთება. წინაც ცოტა დამრჩენია - პა-პა, 5-6 წელი...

- რას ბრძანებთ, ბატონო კახი, 30 წელიწადი მაინც კიდევ უნდა გავკვანართო... - არ მითხრათ ეგეთი რამ. ეს სამარცხვინო იქნება. არც ერთი ჩემი ძმაცატი თუ აღარ იქნება ამქვეყნად, როგორ შეიძლება მე გამოვეყრო ცას?! დრო რომ დგება, უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე. ეს კანონზომიერია. ისე კი სცენაზე თამაშის სურვილი არ ქრება. ერთხელ, აკაცი ხორავა და აკაცი ვასაძე შეხვდნენ ერთმანეთს. ხორავამ უთხრა: - კაცი,



შენ კიდევ არტისტი? დიას, ვარტისტი, სულ რომ აღარ არსებობდეს თეატრი, ფარდავს დაფაფენ მიწაზე და იმ ფარდავს "ვიარტისტი", - მიუგო ვასაძემ. ცხოვრება ისეთი რამაა, ზუსტად ვერაფერს იტყვი, რა როგორ იქნება. ისიც არ ვიცი, რეალურად რა ხდება. ზოგჯერ შემიძლია სიხმარი ისე განვიცადო, რომ დავფიქრდე, ეს რეალობა ხომ არ იყო-მეთქი...

- ასეთი განცდა მას მერე გავიხსენიათ, რაც არტისტი გახდით?

- ყველა კაცი არტისტია, ყველა თავის როლს თამაშობს. ზოგა (კუდად, ზოგი კარგად, ზოგიც - გენიალურად. მე დაბადებიდან მქონდა იმისი შეგრძნება, რომ რეალური და ირეალური თანაარსებობს. მიყვარს ცხოველებზე დაკვირვება. აი, ისინი თამაშობენ თავის როლს ცხოვრებაში არაჩვეულებრივად. ღლიმი სწორპოვარია ღლიმის როლში, ზოგი ადამიანი კი ადამიანის როლს ვერ თამაშობს.

- მსახიობის პროფესია, ფაქტობრივად, შეწირავს მოთხოვს. ხომ არ გგონიათ, რომ რეპეტიცია, გადაღება, სპექტაკლი - ასე დატვირთული დღე არ გაძლევათ შეიძლება ყოფნის საშუალებას?

- ძალიან ვაკლი ოჯახს. მაშინ მეგონა, სახელმწიფოებრივი საქმე იყო, სპექტაკლი რომ მქონდა. არტისტს ჰგონია, ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო მისი, არამედ მის გარემომოცოფთა ცხოვრებაშიც. თუ ოჯახის წევრები ერთმანეთს ვერ უგებენ, ინგრევა კიდევ ოჯახი. ჩემს საყვარელ ადამიანებს იმის გამო მოვაკელი ყურადღება, რომ ხან გადავხვები ვიყავი, ხან - რეპეტიციაზე. ჩემს დანაკლისს ოჯახში მუდღეუ ანახლავდნენ... ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. ბელა რომ ცოცხალი ყოფილიყო, რა მიჭირდა... მაინც, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიმდგრდება მონატრება, ერთიანობის შეგრძნებაც კი. სხვანაირად აღარაფერს ექნებოდა მნიშვნელობა, არც საფლავს, არც ფოტოებს. ერთ ამბავს ვიამბობთ: ცივი და ბნელი წლები რომ იყო, ნათქვამით ვიბეზობდით. უეცრად გადავივიწყრავდა ნათქვამა, ნათი დაიქცა და ცეცხლი მოეკიდა. დიდი ალი ავარდა. პირველი, რაც თავში მომივიდა, ბავშვების გადარჩენის ფიქრი იყო. როგორმე უნდა გამეყვანა შვილიშვილები სამშვიდობოს. მეორე ფიქრი იყო, რა გავიტანო?! ზამთარი იდგა, არც ტანსაცმელზე მიფიქრია, არც რაიმე ფასეულობაზე... სურათები უნდა გადავარჩინო-მეთქი. ეს არის წარსული, განე-

არ ჩამოვიწიო!

ლილი ცხოვრება შენში კი რჩება, მაგრამ ფოტო გეხმარება წარსულთან კვლავ იქონიო კავშირი. ერთხელ, აფხაზეთიდან დევნილებმა გარდაცვლილის მოგონება გამოაქვეყნეს, ფოტო არ ჰქონდათ. ეს დიდი ტრაგედიაა. ერთ დღესაც შეიძლება დაფიქრდე: როგორი სახე ჰქონდათ ჩემს მშობლებს, ახლობლებსო. მეორე ტრაგედიაა უსაფლაობა. აი, მე მამაჩემის საფლავი არა მაქვს. 25 წლის რომ ვიყავი, მიხლოდა ჩამოშვებები. ვიცოდი, სად გარდაიცვალა - გადასახლებაში, სვერდლოვსკთან, "სტანცია სოსავაში". მითხრეს, ეჭვი არასოდეს მოგასვენებს, რომ შეიძლება მამაშენი კი არა, სხვა ჩამოასვენო... გადავიფიქრე მერე. დღესაც გული მტკივა, რომ მამის საფლავი არ მაქვს...

- ბევრს მოგზაურობთ, რამდენად გინდობთ სამშობლოს მონატრების გრძობა?

- რუსთაველის თეატრი ადრეც ხომ დადიოდა გასტროლებზე. 1966 წლიდან ვმოგზაურობ. გამოვაცხადებდი ხოლმე დასის წევრებთან: "უცხოეთში ყოფნას ორი კვირა ვაუკლებ. მეთხუთმეტე დღეს იუმიორის გრძობას ვკარგავ. დღეს მეთხუთმეტე დღეა და არ მეხუძმით!" ჩემს შვილთან და შვილიშვილებთან მივდივარ ხოლმე ამერიკაში, ჩემთვის ყველაზე ახლობელ და საყვარელ ადამიანებთან. დედა მე არ მყავს, მამა და ცოლი. ისინი არიან ჩემთვის ყველაფერი. შვილიშვილებთან ვგრძობ ყველაზე ლაღად თავს და იქაც კი ვიჭერ ჩემს თავს იმაში, რომ თბილისში მინდა დაბრუნება. ერთმა ემიგრანტმა მითხრა: - რა გინდა, კახი, იმ თბილისში, დარჩი აქ. ნახე, მე როგორ მომეძარბა ხელი. არა-მეთქი. მერე ჩემთვის ვფიქრობდი, - რატომ არ ვრჩები ამერიკაში? ჩემი საუკეთესო ხალხი იქაც არის და აქაც დავტოვე. მაინც თბილისში არის პაერი, რომელიც მაცოცხლებს, აქ არის საქმე, რომელიც მიყვარს...

- სცენაზე ამერიკაშიც ხომ თამაშობ?

- კი, ბატონო, ვითამაშე, მაგრამ მაინც იქ ვიყავი. მე კი თბილისში მიხლოდა.

- პაატა ციქურიშვილის თეატრს დიდი წარმატება აქვს ამერიკაში, "სტუმარ-მასპინძელიც" კი დადგოთ. როგორ მიიღო იქურმა მავრებელმა ვაჟა-ფშაველამ?

- მგონი, უკეთაც კი მიიღეს, ვიდრე ქართველი მავრებელი მიიღებდა. ვაჟა-ფშაველა ამბობს, რომ არსებობს კანონი (რომელიც კაცმა დაწერა), საზოგადოება და პიროვნება. კანონსა და საზოგადოებას შორის იჭყლიტება პიროვნების ღირსება. ღირსების ხელშეშეშობა კი ამერიკელისათვის უფრო ახლობელია, ვიდრე ჩვენთვის. ისე გადავივლიან საქართველოში, არც გაკითხვინებენ, რატომო.

- ამ სპექტაკლისთვის თქვენ ინგლისური ენაც კი ისწავლეთ, არა?

- ინგლისური არ მისწავლია, მაგრამ ვისწავლე ის, რაც სცენაზე უნდა მეთქვა.

- არ გავიჭირდათ?

- ძალიან ძნელი იყო. მთავარი



ის არის, რომ ქართული კულტურა მივიტანეთ მავრებელამდე ქართველებმა. აფხაზეთ სულ ქართული გვარები იყო: პაატა ციქურიშვილი, ირინა ციქურიშვილი, ირაკლი კავსაძე, კახი კავსაძე, გოგი მესხიშვილი, ვია ყანჩელი, ვატო კახიძე. "შერეკილები" რომ დადგეს, დაემატა რეზო გაბრიაძე, ჯანო კახიძის მუსიკა. ვაშინგტონში უკვე იციან, ვინ არიან ქართველები. ამას წინათ პაატა ციქურიშვილის მამას უნდოდა ამერიკაში შვილის სანახავად წასვლა. როცა კონსულს უთხრა, - იქ ჩემი შვილია "სინეტიკ სიეთაში", გავიქვდა - თქვენ იმისი მამა ხართ?! ყველა იცნობს ამ თეატრს. ახლა ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა" დადგეს. დღე და დღე მუშაობდნენ. უნდოდა, მეც მეთამაშა, მაგრამ მტკიცე უარი უთხარი: - თუ გინდათ, რომ საბოლოოდ სისხლი ჩამიქციოთ ტვინში, მაშინ მომეცით როლი-მეთქი. დიდი წარმატება ხვდით წილად. დაიწერა კიდევ - პაატა ციქურიშვილი გენიოსიაო. ჩემს შვილზე ძალიან კარგი რეცენზია დაიწერა. ცოტა მერე დადგება, მე რომ ვიმეორებ: ირაკლი კავსაძე პილატეს როლის უბრწყინველესი განმასახიერებელიაო.

- ირაკლის არა აქვს "თხუთმეტი დღის შემდგომი" მონატრების გრძობა?

- ის იმდენად გადავარდნილი თავის საქმეში, ბევრს არაფერს გამოხატავს. მინახავს მის თვალებში დიდი განცდა, მაგრამ ამხვე არც იმას უნდა ლაპარაკი, არც - მე. შვილიშვილი, რომელსაც ორ თვეში 11 წელი შეუსრულდება, ამბობს: - თბილისში მინდაო. აქეთ მოუწევს გული რბალსაც. ირაკლი ხმას არ იღებს, რადგან ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო, - ფეხი დაჰკრა და წავიდა.

- თქვენ თათბის ბევრს გამოიხიენო ქართველი უცხოეთში მოღვაწეობს. რაზე საუბრობთ, როცა იქ ერთმანეთს ხვდებით?

- ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით, როგორც ბიჭები, არა, უფრო მეტიც, როგორც "ბიჭუშკები". მე და ვახტანგ მიქელაძე კლასიკური ვიფაიით. ვია ყანჩელი ზუსტად ჩემსეა, როგორც 55 წლის წინ ველაპარაკებოდათ ერთმანეთს, ისევე ვლაპარაკობთ. მიხარია, რომ ქართველები ნიჭი და შრომა ასე ფასდება უცხოეთში... პაატა ციქურიშვილი ხომ ასაკით პატარაა, მის მუდღეს თეატრალური ოსკარი "ელენ ჰეიზი" აქვს სამჯერ მიღებული ქორეოგრაფიაში, ორი "ელენ ჰეიზი" - პაატამაც მიიღო. განა საამაყო არ არის?

ციქურიშვილის თეატრი შემოწირულობებით არსებობს. ჩვენი შეწირულობა ის არის, რომ არც მე, არც გოგი მესხიშვილს, არც ვია ყანჩელს, არც ვატო კახიძეს კაპივი არ ავცილია. ერთადერთი - გზის ფულს მინახლავრებდნენ.

- ბატონო კახი, თქვენ არაერთი საინტერესო შეხვედრა გქონიათ უცხოელთაგან...

- არასოდეს დამავიწყდება ელიზაბეტ ტელიორთან შეხვედრა. მაშინ "ლურჯ ფრინველს" იღებდნენ. მასში ჯეინ ფონდაც მონაწილეობდა, ავა გარდნერიც. ლიფტში შევხვდით ერთმანეთს მე და ელიზაბეტ ტელიორი. ულამაზესი იყო, თანაც უბრალოდ ღამაში ქალი კი არ ვნახე, ვიცოდი, ვინ იყო - ელიზაბეტ ტელიორი. ხელი ლოყაზე მოვუთათუნე და ქართულად ვუთხარი: - რა ღამაში ხარ, შე ბოზო-მეთქი (ბოზი აღმოსავლურად ღამაში ნიშნავს). ჩემთან ერთად იდგა ჯემალ გაგნიძე. ეს რა თქვიო, შეიცხადა და ხელები სახეზე აიფარა, - ეს რა უთხარი?! ნუ გეშინია, ქართული არ იცის-მეთქი.

- თქვენს ფილმებს ხშირად ნახულობთ?

- არა, როგორ შეიძლება ჩემს თავს ვუყურო? თუკი შემთხვევით ვნახავ, ერთადერთი იმას ვფიქრობ, როგორი ახალგაზრდა ვიყავი-მეთქი. ისე, ამას წინათ ფილმი ვნახე - "მიიღეთ გამოწვევა, სენიორებო", იქ ერთ ეპიზოდში საჭმელს ვჭამ. ეკრანზე ჭამა ურთულესი რამ არის. მომეწონა, კარგად ვასრულე.

- ბატონო კახი, როცა იღლებით, გული დასასვენებლად სად მივიწვი?

- ზოოპარკში. თუკი უცხოეთში მოვხვდი, ყოველთვის ვცდილობ, ზოოპარკი მოვიხანულო. ვაშინგტონშიც მოვიკიდე ჩემს შვილიშვილს ხელი და ზოოპარკში წავიდით. დიდხანს ვუყურებ ცხოველებს. ერთხელ ღონისძიებაში, მაიმუნის გალიასთან შევეჩირე. იჯდა, ვითომ ჩაფიქრებული, ხელი თავზე ჰქონდა შემოდებული. ერთი ტყუილიც არ იყო მის გამოხედვაში. ისე ფიქრობდა, თითქოს სამყაროს მოწესრიგების გზას ეძებდა. ერთი საათი ვუყურებდი. ჩვენ შორის ორი ბარიერი იყო - მინა და ძალიან თხელი გისოსები. უცებ წამოხტა მაიმუნი და სადაც სახე მქონდა მიდებული, ისე მოახტა ფეხებით, როგორც ტყვია. თითქოს მეუბნებოდა, - წადი, მოშორდი აქედანო. მიყვარს ცხოველები, ისინი ხომ არასოდეს იტყუებიან.

- ყველაზე მეტად რა გენატრება?

- შვილიშვილები. ცოტა ხანში წავალ კიდევ სანახავად, ბაბუს მეძახიან... დასავლურად. აი, გვი ბერიკაშვილის პაპაიო, - ასე მიმართავენ... უფროსი შვილიშვილი 20 წლისაა. როცა რაღაც უნდა (მოგესხენებო, რა უნდათ ხოლმე 20 წლის შვილიშვილებს ბაბუსაგან), ბაბუს მეძახის, როცა არაფერი - კახის.

- ადრე ფრენა გიწვევთ, არ გეშინიათ პარემო ყოფნის?

- არა, არც მიფიქრია მაგაზე. ერთხელ მე და ბელა ვიმგზავრეთ ერთად ლენინგრადიდან. რომ ჩავსხედით თვითმფრინავში, იმ წუთშივე ჩამქვინა. გამაღვიძა და მითხრა: არა გრცხვენია, კახი, ასე უსინდისოდ რომ დაიბინე, ხომ იცი, რომ მუქინია. ხათრით ცოტა ხანს მაინც მე დაიბინებო! მაშინ უცებ ვიბინებო... ირაკლის სჭირდა ხოლმე ასეთი რამ, დადიოდა, დადიოდა ოთანში. დაისვენე, შეილო, დაწე, - ვეტყვი. არ წვებოდა: რომ დამეძინოსო! ბიჭო, უნდა დაგეძინოს-მეთქი... არა, არ უნდა დამეძინოსო... ახლა მე მჭირს მსგავსი რამ. დამით დავედივარ, ვერ ვისვენებ. დაწე, მეტყვიან. რომ დამეძინოს?

დრო მეცოტავება, მეშინია, რამე არ გამოძრჩეს. მირჩევნია, სკამზე ჩავთვლიო 10-15 წუთი... მთავარია, არ ჩამეძინოს! ■



უტრისეპი
ახალი
მინისტრის

პროტრეპისათვის

მედიის ფურცლებსა და ეთერს არ სცილდება კახა ბენდუქიძის სახელი და სახე. არა მარტო იმიტომ, რომ ზოგჯერ ასე მოგვწონს აჟიოტაჟის ატეხვა. ეკონომიკის ახალი მინისტრი (შემოკლებული მოხსენიებით) მართლაც მოულოდნელად (ეგებ მისთვისაც მოულოდნელად) და არცთუ ორდინარულ ვითარებაში დაინიშნა, მოხდა, რაც, სხვათა შორის, იმაზეც მიუთითებს, რომ ზოგიერთი პოსტრეკოლუციური, ზარ-ზეიმით დანიშნულ-დამტკიცებული მინისტრი პოსტს ვერ მოერგო.

ბატონი კახას მამა, განსვენებული ავთანდილ ბენდუქიძე, ცნობილი მათემატიკოსი, მათემატიკისა და მათემატიკური მეცნიერების შესანიშნავი პოპულარიზატორი გახლდათ და საქართველოში, ამ მხრივ ეგებ დღემდე არ გამოჩნდა მისი ბადალი. დედა, პროფესორი ჯულიეტა რუხაძე, დაუვიწყარი გიორგი ჩიჭაიას და ვერა ბარდაველიძის საყვარელი მოწაფე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში განყოფილების გამგეა და აქამდე მარტო ცხოვრობდა ვაგეში, არაფიშვილის ქუჩაზე მდებარე ერთი დიდი სახლის ფართო, სამოთხაიან, "არახრუმ-ჩოუღუ" კეთილმოწყობილ ბინაში. მიუხედავად იმისა, რომ ახლა მისი სატელეფონო ხაზი ერთობ "გაცხელებულია", მაინც შექმნილი დარეკვა და ოჯახის ძველი მეგობრის უფლებით, ამჯერად ჟურნალისტურ სტუმრობაზე თანხმობის მიღება.

ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ კახასა და მისი "გადიდაცების" შესახებ, ოღონდ, მკითხველის ნებართვით, ჩემს შეკითხვებს გამოვტოვებ და მხოლოდ რესპონდენტის პასუხების "ნაკერებს" შემოვთავაზებ.

ამრიგად, ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი ვაჟიშვილზე. კახას მინისტრად დანიშვნის ამბავი ტელევიზორით შეუტყვია. ისე კი, ბიზნეს-კონფერენციის დღეებში, კახას ერთ მომენტში უთქვამს, მთავრობაში რაღაცაზე მიბარებენო...

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო სესია მიმდინარეობდა, ეს ინფორმაცია რომ მიიტანეს. სესია ცოტა ხნით შეუწყვეტიათ და სიახლე გამოუცხადებიათ, რასაც დიდი გამოცოცხლება მოჰყოლია, ყველას ძალიან გახარება - კოლეგებს, თანამშრომლებს. ინსტიტუტის დირექ-

ტორს, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს მოსწრებულად შეუნიშნავს: ჩვენი ერთი თანამშრომლის ვაჟი პრეზიდენტი გახდა ("ერთ" თანამშრომელში პროფესორი გიული ალასანია იგულისხმება, მიხეილ სააკაშვილის დედა), აგერ, მეორის შვილი - მინისტრი, მესამე ვინ იქნებაო..."

ბავშვობა
ძალიან კარგად სწავლობდა. ბევრს კითხულობდა, სულ წიგნებში იყო თავჩარგული. უყვარდა და ემარჯვებოდა მათემატიკა. ზაფხულობით, დასასვენებლად რომ მიმყავდა, თბილისში დარჩენილი მამამისი წერალებით უგზავნიდა ამოცანებს ამოსახსნელად. ერთხელ ბათუმში მყავდა 7 წლისა. ავთანდილისაგან განტოლებების მთელი პაკეტი მოუვიდა, ყველა სწორად გადაწყვიტა და ისე "დაუბრუნა". ყოჩაღ, პიმპოო, მოწერა მამამ (კახას პიმპოს ეძახდა, თავის თავს - პამპოს).

ბავშვობაშივე აინტერესებდა ხატვა, ფოტოგრაფია, ცხოველები იტაცებდა: სახლში მთელი ზოოკუთხე ჰქონდა მოწყობილი - გველით, ზღარბით, ფერადი ხვლიკებით, კატებით... ცნობდა ყოველგვარ სოკოს. 55-ე სკოლაში, სადაც კახა სწავლობდა, ავთანდილმა მათემატიკის წრე ჩამოაყალიბა. გითხარით, მათემატიკაში რა ძლიერი იყო კახა, მაგრამ მამამისი არასოდეს არ უშვებდა ოლიმპიადებზე. ხომ იცი ჩვენი ხალხის ამბავი, იტყვიან, წინასწარ იყო გაცნობილი ამოცანებს და ამიტომ გაიმარჯვაო... სხვათა შორის, მათემატიკაში ჩემი უფროსი შვილი, ნუნუც ძალიან მაგარი იყო, თუმცა ახლა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია...

სტუდენტობა
როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე მისაღებ გამოცდებს აბარებდა, კომისიის თავმჯდომარე აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი გახლდათ. კახას პასუხის დროს ყველა წევრს მოუხმო თურმე ბატონმა ნიკომ - ნახეთ, მოისმინეთ, როგორ აბარებს, როგორი ცოდნა აქვს ამ ყმაწვილსო. ნიკო კეცხოველი ასეთ რამეს უბრალოდ არ იტყვოდა, ისეთი კაცი იყო...

ასეთი შემთხვევაც ვიცი კახასგან, უკვე სტუდენტისგან. გამოცდას იბარებდა აკადემიკოსი ლევან ფანჩაველი. მერე როგორღაც უთქვამს, ერთ საკითხზე ისეთი პასუხი

გამცა, გოცნებული დავრჩი, მე თვითონ არასოდეს მომხვლია ფიქრად, ასეთი კუთხით რომ მივდგომოდი იმ კითხვასო...

ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, ეკონომიკის ფაკულტეტის კონფერენციებშიც მონაწილეობდა და იქაც იღებდა ჯილდოებს...

ასპირანტი
ასპირანტურის კურსი, გენეტიკის განხრით, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა. საერთო საცხოვრებელში დაილო ბინა. სისტემატურად გავდიოდი საღებურში, თბილისი-მოსკოვის მატარებლით პროდუქტებს ვუგზავნიდი. ფულსაც ყოველთვიურად ვაწვდიდი. ერთხელ, ეგვიპტეში მივლინების შემდეგ, მოსკოვში ჩავვედი და საერთო საცხოვრებელში მოვიანახლე. ყოველთვის საქმიანმა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის მქონემ, იცით რა მითხრა. - დედი (ყოველთვის ასე მომმართავს), უკვე დიდი ხანია აქა ხარ, მე კი სამუშაო მაქვსო... ცრემლმორეული წამოვედი და სასტუმროში ვიტირე. რა ვქნა, ასეთია... სამეცნიერო ხარისხები არასოდეს იზიდავდა. არადა, ასპირანტურაში ყოფნისას, გამოჩენილი ბიოლოგის, აკადემიკოს სერაიბინის დავალებით, მის ასპირანტებს ამეცადინებდა...

მილიონერი
შემდეგული რომ გახდა, ერთი ათად და მეტად გადამიხდა მშობლიური ამბავი. მისი წყალობით მოვიარე საფრანგეთი, იტალია, ისრაელი, ინგლისი, ავსტრია... ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ქალაქებია ისტორიისათვის პარიზი, რომი, ვენეცია, ფლორენცია, იერუსალიმი, ლონდონი, ვენა - ტაძრებით, სხვა ისტორიული ძეგლებით, გათხრებით. ზოგან თავისთან ერთად მიყავდი, ზოგან ქალიშვილთან და სიძესთან ერთად გამოიშვებდა. ევროპაში ყველგან იცნობენ, დიდი პატივისცემით ხვდებიან, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან სასტუმროებსა და რესტორნებში, კარგად ახსოვთ...

რძალზეც ვკითხე ქალბატონ ჯულიეტას.
- განათხოვარი, ლამაზი ქალია, ძალიან განათლებული. მე კახას დაოჯახებაში როგორ ჩავერეოდი... ნატალია ზოლოტოვა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატია... შარშან პარიზში არაჩვეულებრივი გამოფენა მოაწყო, პეტ-

რე პირველისადმი მიძღვნილი. დიდებული პროექტი მოამზადა, აი, ნახეთ პროსპექტი - "პარიზი-პეტერბურგი. 1800-1830. როდესაც რუსეთი ფრანგულად ლაპარაკობდა. სანკტ-პეტერბურგის 300 წლისთავისათვის"...

რუსეთულ განთქმულ წყობილი ინტერვიუ გამახსენდა, სადაც ქალბატონი ნატალია ასეთ რამესაც ამბობს: "კახას ზურგს უკან თავს ისე საიმედოდ ვგრძობ, თითქოს რკინის კარი მიცავდეს. ჩემს ორ ვაჟს ნამდვილ მამობას უწევს".

ერთი ფიქრიც გავუზიარე მინისტრი შვილის დედას, უზარმაზარ ტვირთს შეუდგა, ნეტავ გართმევდეს თავს და თბილისურ პოლიტიკურ ინტრიგებში არ გაიხლართებოდეს, ანუ არ გახლართავდნენ-მეთქი. ეგ მეც მაშინვესო, გამომიტყდა. დედური გულისხამდეც გამიზიარა - ნეტავ, გახდებოდესო...

ყველაფერი არც მშობელმა იცის. მაგალითად, იცხოვრებს თუ არა კახა არაფიშვილის ქუჩაზე (თუმცა ბინა მის სახელზეა გაფორმებული), აიღებს თუ არა ხელფასს (ასე თქვეს, იუარა სამინისტროს გასამრჯელოს მიღება), ჩამოიყვანს თუ არა ოჯახს - თვითონ ხომ არაფერს გეტყვისო, დაიჩვილა...

სხვათა შორის, რამდენიმე უცნობს უკვე დაურეკავს "ცხელი ხაზით" ქალბატონ ჯულიეტასთან, ბინას ვყიდით, კახა ხომ არ იყიდისო. თბილისელი ბინათმფლობელები დროს არ კარგავენ...

ნიჭი და ჭკუა არცთუ ხშირად არის პარმონიზებული ერთ ადამიანში. კახა ბენდუქიძეს ბუნებამ ორივე უხვად დაანათლა - ამას უკვე დედა კი არა, მე ვამბობ, ჟურნალისტი. ბატონმა კახამ საკუთარი თავი თვითონ შექმნა და აქცია მძლავრ ფიგურად ისეთი ვებერთელა ქვეყნის ბიზნესში, როგორიც რუსეთია. პოლდინგ "ურალმაშქარხნების" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, რუსე-

თის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის ბიუროსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული მეწარმეობის საბჭოს წევრი, მოსკოვის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის პროფესორი, კაცი, რომლის აზრსაც ანგარიშს უწევს თვით პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, და ბოლოს, "უბრალოდ" მილიონერი - როგორი საქმეა, ყველაფერ ამას პატარა ქვეყნის წარმომადგენელმა დიდ ქვეყანაში რომ მიადწიოს!

რუსეთი რუსეთად, მაგრამ ბატონი კახა იქიდანაც ახერხებდა საქართველოში "პარალელურ" საქმიანობას - მსხვილი ქართული სამშენებლო კომპანია ეთს-ის კონტროლს. ამ კომპანიის ერთ-ერთი გრანდიოზული პროექტია ვაგეში, რუსეთის საელჩოს გვერდით, ოლიმპიური აუზის რეკონსტრუქცია (ეგებ ზოგიერთი ცხელთავა რუსეთელი პოლიტიკოსის გასაგრილებლადც)... ამ ადგილზე მთელი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი წამომართება...

"ეკონომიკის სამინისტრო" შემოკლებული სახელდებაა, თორემ ჩვენ უკვე ვიცით, როგორ გაფართოვდება ეს უწყება - მშენებლობის, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის სფეროებით. კახა ბენდუქიძის მხრებს, თუმცა მძლავრს, მართლაც რომ, უმძიმესი ტვირთი დააწევება და ნეტავ კი ღირსეულად ატაროს. დამამედებლად და სასიკეთოდ მეჩვენა ერთი ეპიზოდი ბატონი კახას ბოლო ჩამოსვლიდან - აეროპორტში რომ დამომდვრა ჩვენი ზედმეტად აქტიური ტელე-ჟურნალისტები, ისწავლეთ ჭკვიანური კითხვების დასმაო. ასეთი შეგონება არც ერთი სხვა "ნიშნადი" ფიგურისაგან არ მსმენია...

ქართულმა, შიგადაშიგ მწარერეალობამ, არაერთი უცხოელ-გადამთიელი გააქცია საქართველოდან. უკვე აქ "მოქცეული" კახა ბენდუქიძე არც უცხოელია და არც გადამთიელი. ქართველია, ამითიელი...
თ. შავრიძე



მოელი პასუხივით ვაცხადებ: "არსენას ლექსის" ზოგი პასაჟი გენიოსი პოეტის ხელით არის შექმნილი!

სამწუხაროდ, მე ახლა ამ ნაწარმოებს მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით არ განვიხილავ, - თავს მხოლოდ იმის ნებას ვაძლევ, ის თემები წამოვიწყო წინ, დღევანდელ კრიმინოგენურ სიტუაციას მეტისმეტად რომ გავაგონებ...

კერძო საბანკო კომპანიების ჯერ გაკორტეზება და შემდეგ გაქცევა, მე ის პერიოდი გამახსენა, ჩვენი წინაპარი ფულს მუთუაქამ რომ ინახავდა და, განმეულს - ზანდუკში!

რასაკვირველია, მერე და მერე უფრო ინიციატივებიანი ადამიანები გამოჩნდნენ და სხვადასხვა გზით დაგროვილი ქონებას ასევე განსხვავებული ტექნიკური მეთოდების გამოყენებით ინახავდნენ!

მაგალითად, ყაჩაღი არსენა ოქლაშვილი ამ მიზნით ძნელად მისადგომ - ცერად დახრილ კლდეს იყენებდა! გახსოვთ, ალბათ, სივლილის წინ რომ გამძვინვარა! - "ჩემი შვიდასი თუმანი კასპში ერთ დიდ კლდეში დევსა!..."

ცხადია, კლდეში შენახულ ფულში არსენას პროცენტებს არაფერ დაურიცხავდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თუ მთლიანად დაიკარგა, თუ მთლიანად დაიკარგა, თუ მთლიანად დაიკარგა, თუ მთლიანად დაიკარგა...

სხვათა შორის, არსენას მეთოდი - ფულს კლდეში შენახვა! - სულ უკანასკნელად საქართველოში სოლიდო ხაბიტივით გამოიყენა!

თუ გახსოვთ, ბატონ ხაბიტიშვილის წინასწარი პატივით სავსეა ყოფნისას, საქართველოს სამხედრო სამსახურები ფართომასშტაბიან ოპერაციებს ატარებდნენ ყაზბეგის მიხედვით... გადამალული განძის გამოსაგონებლად!

ამ ყაიდის მენაბრეთა გასახარად, არსენას მეთოდი მანამ გაამართლა! მიუხედავად იმისა, გერმანულ შტაბში საიდუმლოდ მომზადებული ოპერაციის (კოდური სახელწოდება "ქვლევისი") შემდეგ, ამ მასშტაბის სამხედრო მოქმედებები კავკასიის მიხედვით არავის უწარმოებია, - განმეულს ვერა და ვერ მაიკვლიეს!...

თქვენი მეთოდი ცივილიზებული ცხოვრების წესისთვის მომზადებული არ აღმოჩნდით და თვალის ახლაც "გამოქვეპოლისევენ" გვიჭირავს, რაღა მაინცდამაინც ბანკებში ავკოტყდა ფულის შეტანა?!

აღგეთ და, როგორც ადრე ვიქცეოდით, ფული ახლაც პირდაპირ გამოქვებულგება და კლდეებში შევიანხოთ! მერწმუნეთ, ჩვენი დანახვის უსაფრთხოებისათვის აქ მუქი გარანტიაა! - თუ უცერად მოვარდნილმა ვეთქმა წვიმამ ცელოფის პარკში გახვეული ფული საერთოდ არ მოგვტაცა, ისე აქ კერძო საბანკო კომპანიებს ხელი ნაკლებად მიუწვდებოდა!...

ხელმოწიის მზავი მიხედვით! ამ ცოტა ხნის წინათ, შარაგზის ყაჩაღების შიშით, საქართველოს სახელმწიფო გზებზე თვით ავტონისპექციის თანამშრომლებიც ვეღარ მიმოდიოდნენ!

თქვენ წარმოიდგინეთ, ამ სამსახურის მუშაკები ისეთ ცენტრალურ ტრასებსაც კი ვერ აკონტროლებდნენ - როგორც საქართველოს სამხედრო გზები!

გზაზე ყაჩაღის გადაღობა და მანქანის წართმევა იმდენად ჩვეულებრივ ამბად იქცა, როგორც ცეცხლზე შემოდგმული ლობიოსის წყლის ჩამატება!

არადა, ამ კუთხით ძველ საქართველოში გაცილებით უკეთ ყოფილა საქმე!

ქართულ ლიტერატურაში სავსაო

ყაჩაღობის სულ ერთადერთი შემთხვევაა დაფიქსირებული!

ისიც ნამდვილი ყაჩაღის მიერაა ჩადენილი, თანაც სტრატეგიული თვალსაზრისით არც თუ მთლად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტრასაზე!

ეს სავსაო შემთხვევა თონეთ-კუმიხის გადასარბენზე მომხდარა!

ჯერ მაშინდელი სურათი ბოლომდე აღვადგინოთ!

"*კუმიხის გზაზე გადაღობა, - სიძე მოუძღვის სიღღრსა, არსენამ რომ დაინახა, თქვა*": დიდებამ მოწყალესა, ჩემი საქმე არის ესა!..."

ხოლო, რასაც ამის შემდეგ არსენა აკეთებს, ეს, მართლაც, ყაჩაღის საქმე გახლდათ!

"*თუ უკაცრავად არ ვიყო, დედი, ჩამობრძნდი ცხენსა!*"

როგორც ხედავთ, დაყაჩაღების საგნად აქ სატრანსპორტო გადაადგილებების საშუალებებიდან, ვირის შემდეგ, ყველაზე "იფიქრანსპორტი" - ცხენია შერჩეული!

პოემის მიხედვით, სიძემ ჯერ გააყურა - ეს კაცი ცხენს მითხვს თუ სიღღრსო! თუმც იმდენად უიღბლო ვარსკვლავზე იყო გაჩენილი, იმწუთას მიხვდა - სიღღრს რომ დაუტოვებდნენ და ცხენს წაართმევდნენ!

ამიტომ ყაჩაღს ვიქცეო შეუტია! "გასწი, იქით, გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემს ცხენსა!..."

ცხადია, დღევანდელ შემთხვევაში, ასეთ პასუხს ავტომატის მოკლე ჯერი მოყვებოდა!

იმ დროისთვის კი, სხვისი ქონების დასანარჩუნებლად, ძირითადად, მკლავი გამოიყენებოდა!

"*მოვიბრუნდები, შემოგვრავ, სულ მუშტით დაგიმტვრევ კბეხსა!*" - გააფრთხილა კიდევ არსენამ!

"ჩხუბი მორევაზია!" - არაფერი დათმო ცხენისა და სიღღრის პატრონსა...

თუმცა, ძვირფასო მკითხველო, - "რალა ბევრი მოვახსენო, ხელი სტაცეს ერთმანეთსა."

არსენა ლინიერია, იმ ბიჭს ქვემო ამოიღებდა,

ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყალფუხვით დააბნევა...

ჩემი საქმისთვის, რისთვისაც ეს ეპიზოდი გავიხსენე, ჩხუბის შედეგს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, ისე ვარ დანატრებული ორთაბრძოლის ამ უძველეს სახეობას - ხელდახელ ჩხუბს! - შესაბამისი ციტატი ბოლომდე გადმოვიწერე!

თორემ, მთელ ამ ეპიზოდში, ჩემთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ერთადერთ ფრაზას აქვს!

"*ხელმოწიის გზაზე მიხედვით, ეს კაცი არ გაგიღებსა!*"

ხედავთ? სიძე იმაზე კი არ ჩივის, ასე მწარედ რომ გალახეს, არამედ ჭკუიდან შემლილს ჰგავს - "ხელმოწიის გზაზე" დახვედრა როგორ გაბედესო!


აბა, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ეს ფრაზა!

"*ხელმოწიის გზაზე მიხედვით, ეს კაცი არ გაგიღებსა!*"

დღეს, როცა სახელმწიფო გზებს კბილებამდე შეიარაღებული ათასობით პოლიციელი იცავს, ცხენის კი არა, მანქანის წართმევაც აღარავის უკერძო!

ვგ კი არა, იმისთვისაც მაღლობელი უნდა ვიყოთ, თუ ყაჩაღები სახლებში არ შემოგვიხტებიან და ფეხის წვივზე ორჯაჭვგამობმულ მანქანას - პატრონისფეხიანა არ წაიღებენ!

სხვათა შორის, "ხუთმეტ წელს ყაჩაღად მყოფმა" არსენამ, ერთჯერადი გამოყენების შემდეგ, ეს ცხენი, გალახული ბიჭის სიღღრს, ყოველგვარი გამოსაყიდის გარეშე დაუბრუნა, თანაც ნალის ცვეთის საფასურიც გადაიხადა!



"არსენა რომ დაიჭირას, ქვეითი იდიოლა დღესა!..."
ბრძანებულება ვითარება
საპრობლემაში "არსენას ლექსის" მიხედვით

აი, ნახეთ! "ორ კვირაზე იმ ბებერსა ისევ გაუგზავნის ცხენსა,

ერთი თუმანიც აჩუქა, რაც რომ ნალი გაუცვდესა!..."

თხრობა აქ უნდა გავწვიტო! - თორემ ისე მიმავს საქმე, მეშინია, ყაჩაღების ქვეყანაში ნამდვილი ყაჩაღი არ მოგანატრეთ!...

არსენა რომ დაიჭირას!...

თუ საინფორმაციო საშუალებებს დაუჯერებთ, დღევანდელ საქართველოში ინდივიდუალურად და ორგანიზებულად მოქმედ იმდენ ყაჩაღს იჭერენ, - ციხის კედლებს გარეთ დარჩენილი მარტო მე და შენ უნდა ვიყოთ, ძვირფასო მკითხველო!

დარწმუნებული ვარ, უკანასკნელ ხანს რაც გასამხედროებული სამოქმედო და სამოქალაქო ორგანიზაციებში გაერთიანებული ქურდები დააკავეს, ამათ ციხის ტერიტორია კი არა, სახელმწიფოში არსებული ყველა გადახურულიც არ ეყოფათ!

აქედან გამომდინარე, ეტყობა, ძალიანძვირი სამსახურები ორ ნაწილად არიან გაყოფილი!

ერთი - რომლებიც იჭერენ! მეორე, - რომლებიც უშვებენ!

ორად გაყოფილ ამ ნაწილებს რაც აერთიანებთ, - ჯერჯერობით, ფულია!

არადა, წინათ, ციხიდან თავის დაღწევას, დიდი ვაჟაკობა უნდოდა! ამ პრობლემის დაძლევა თვით არსენა ყაჩაღსაც უჭირდა!

"*შამინა თქვა არსენამ: "ვაი დედიჩემის დემრთსა! მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიღებებსა!..."*

ერთი სიტყვით, ციხიდან გამოსვლა ათას ხათაბალასთან ყოფილა დაკავშირებული!

ყოველ შემთხვევაში, ჯერ აბანოში

წასვლა უნდა მოგეთხოვა! - "იმ აფიცრს შეხვეწა: "იმ თქვენი დედ-მამის მზესა..."

წამიყვანეთ აბანოში, მისი დარდი არ გამყვებსა!..."

მერე საკუთარი ფულით ციხის ბაღრაგი უნდა დაგეთორო! -

"*ერთი საწყალი მანეთი არსენას ჯიბეში უდევსა,*

ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტანს და სირაჯებსა,

- ამის ოტკა ჩამომისხით, მისვით მშვიერ სალდათებსა!..."

"*სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა!*"

სალდათებს ოტკა ჰკონიათ, ჩუმით რომ ჩაუსხვსა.

ისე დათურენ სალდათები, ვეღარ სცნობენ ერთმანეთსა!..."

მერე ერთ-ერთი მიკიტანი უკან უნდა დათურენებოდა და ჯიბეში ქლიბი ჩაეღო!

"*აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა*

უკან მიკიტანი მისდევს, ჯიბეში ქლიბს ჩაუღებსა!..."

მერე და მერე შენ თვითონ უნდა გემარჯვა და ამ ქლიბით ბორილები გაგებებსა!

"*მიდა ეს ჩვენი არსენა ბორილს ხეხვას დაუწყებსა,*

ყარაულებსა ჰკონიათ აკურით იხებს ფეხებსა!..."

დაახ, დაახ! - მხოლოდ ამ კატორღული სამუშაოს ჩატარების შემდეგ შეგეძლო ქალაქში მიმავალი სომხის ბიჭისთვის დაგებარებინა - "არსენა რომ დააჭირეს, ქვეითი მიდიოდა დღესა!..."

დღეს კი საქართველოს ციხეებში, ეს მრავალსწლიანი ოპერაცია მინიმუმამდე დაყვანილი! - გადაიხდი ფულს და, - გახვალ!

ხოლო, თუ ყაჩაღობით ფულის შოვნა ჯერ კიდევ ვერ მოასწარი - ჯიბეებს უნდა დაარკიანო!...

შენიშვნა:

იმ შემთხვევაში კი, თუ არც ფული გაქვს და არც ჯიბეებს იცნობ, მაშინ ან გარეთ რა გინდა! - იჯექი ციხეში და იფხანე ...ვენები!

ადრე, ამ ადგილას სხვა სიტყვას ხმარობდნენ, მაგრამ ახლა, რაკი ციხეში ძირითადად ნარკომანები სხედან, ის ნაგულისხმევი ორგანო იმდენად უფუნქციო გახდა, იმის საფუძვლად არავის სცაღლია!...

სამადლო ღუმალში მივა!...

სულ ახლახანს, სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, საქართველოს ძალიანძვირ სტრუქტურებმა ფართომასშტაბიანი ბრძოლა გააჩაღეს რეკეტის წინააღმდეგ!

როგორც ჩანს, რეკეტის ფორმა საქართველოში არახალია! - ყაჩაღობის ეს საინტერესო სახეობა, ემბრიონალურ ჩანასახში "არსენას ლექსშიც" გვხვდება!

ყოველ შემთხვევაში, საგარეუბნო დეუქნებსა და სახალხო ბაზრობებს, შიგადაშიგ, არსენაც არეკეტებდა!

გაიხსენეთ! -

"*სამადლოს დუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს წაართმევსა!..."*

ან კიდევ, ბაზრობაზე თავმყერილ ურიებს არსენამ რა დღე აყარა!

არმინი დაუმტვრია და ზომის ერთუელად თავისი ხელით გამოთლილი შინდის სახრე დაუწვსა!

რასაკვირველია, "შვიდი მტკავლით გადაზომილი სახრე" ურიებმა "გრძელად" მიიწინეს, მაგრამ თუ არსენას ჭკუაზე არ გაივიდნენ - ღორის წველის ჭამა არ აცდებოდათ!

ზემთი ნახსენები ფილიპე, არსენამ ცხენი რომ წაართვა, მდღეუქნე გახლდათ!

მაშინდელ მდღეუქნებს კი იმდროინდელი ყაჩაღებისგან რაღაც-რაღაცები რომ ჰქონდათ შეწერილი, - ამ სტრიქონებიდანაც კარგად ჩანს! -

"*შამინ ი ჩვენი არსენა ზემო ქართლისკენ გასწევსა,*

დიდობს სწორა რომ გავიდა, მკვიტნებმა დაათურესა,

იქ ბევრი დააღვივნეს, ტყეშიც ბევრი ჩაუსხვსა!..."

რასაკვირველია, ყაჩაღს უფულოდ ასვენს და ტყეშიც უფულოდ ჩაუსხვს! სხვათა შორის, "არსენას ლექსში" გვხვდება სტრიქონები - იგი ერთხელ უკვე დაემოწმე - როცა ცნობილი ყაჩაღი მედღუქნეს ფულსაც უხდის! -

"*ერთი საწყალი მანეთი არსენას ჯიბეში უდევსა,*

ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტანს და სირაჯებსა,

ამის ოტკა ჩამომისხით - მისვით მშვიერ სალდათებსა!..."

ეს გამონაკლისი, რასაკვირველია, ჩემს ვარაუდს ვერ გააბათილებს!

აქ შეიძლება, ორ გარემოებასთან გვეკონდეს საქმე:

1. დაპატიმრებულ ყაჩაღს ნაკლები ზეგავლენა ჰქონდა მედღუქნებზე!

2. ანდა, დედაქალაქის დეუქნებს არსენა ვერ აკონტროლებდა!...

ახლანდელი მიწაში!

არსენასდროინდელ ამ დარგობრივ საქმიანობას, ჩვენს დროში, ორი ახალი სახეობაც დაემატა!

1. ფულიანი ხალხის გატაცება!

2. ყოფილი მინისტრების გაყვლევა! ფაქტობრივად, ეს ერთი და იგივე ხერხია, ოღონდ, პირველში, ნამდვილი კრიმინალები არიან ჩართულნი, მეორეში კი კრიმინალების წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფო უწყებები!

როგორც ცნობილია, ფულიანი ხალხის გატაცება, ძირითადად, პანკისის ხეობაში გადაყვანილი მთავრდებოდა!

გატაცებულ მძევალს ან დახურულ შენობაში რადატორის ფეხზე გამოაბამდნენ, ან კიდევ, პირდაპირ ორმოში ამოაყოფინებდნენ თავს და ზემოდან გადებულ ხის ჩელტებზე ამონათხარი მიწის თხელ ფენას გადააყრიდნენ!

რასაკვირველია, ეს მეთოდი ჩვენს პირობებში საკმაოდ აპრობირებული გახლდათ, მაგრამ ამის მიუხედავად, რის-ფაქტორის ბოლომდე გამოიციხვა მაინც ვერ ხერხდებოდა!

მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როცა კისერზე უღელდადებულ ტყვეს ხის ჩელტებიანი სახუნდარის კედლები გამოურღვევია და პანკისის მთებიდან, როგორც ხარბი მყვინარეობისას, ბარისკენ დაშვებულა!...

ახლა კი ძველი მთავრობის წევრებს, პანკისის ხეობის ნაცვლად, პირდაპირ ორთაჭალის ციხისკენ მიჰაქნებენ!

არადა, სხვა მხრივ, ვაჭრობა და მორიგება აქაც პანკისური გამოცდილებით მიმდინარეობს, მაგრამ ეს ახალი მეთოდი გაცილებით უხიფათოა - არც გამტაცებელს და არც გატაცებულს არავითარი საშიშროება არ ელით!

მათ აქ კანონი და სამართალი ერთნაირად იცავთ!

ანუ, ეს ის ადგილია, სადაც ერთმანეთს, ხმლის მაგიერ, ფულით უსწორდებიან!

რასაკვირველია, ფულის ძირითადი ნაწილი აქაც კერძო ჯიბეში იყრის თავს, მაგრამ ვინმემ რომ არ იფიქროს, ესენი, ამ გზით ქვეყანას აქცევენ - თანხის რაღაც ნაწილს სახელმწიფო ყულაბაშიც აქცევენ!...

ნეტავი იმ დროს, როცა ნამდვილი ყაჩაღი ფილთა-თოფით, ერთი-ორი კაპიუს საშოვნელად, ქუჩაში გადავიდებოდა!

მაგალითად, არსენა ოქლაშვილი! იცოდ მანც, ეს კაცი ფულს მხოლოდ მდიდრებს არიშვდა (ხელისუფლების მსგავსად) და ღარიბებს ურიგებდა!

ერთი სიტყვით, ისიც მაშინ, ახლანდელი მიხილ სააკაშვილივით იქცეოდა!...

სომხეთი უკვე აღარ მალავს საქართველოს მიწების დაბრუნების სურვილს

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია ქართველთა "მწვანეების" და მათი ლიდერის, აწ უკვე პრემიერად-ქვეყლის ხელდასმამ მონდა საერთაშორისო "მწვანეების" უშუალო ხელშეწყობით და დაფინანსებით. როგორც ცნობილია მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაციის თავის მხრივ განაგებს მსოფლიოს მასონურ-სიონისტური მოძრაობა. ზანაზანას (პრემიერად-ქვეყლის) სწორედ ამ ორგანიზაციაში აქვს გავლილი "აპრობაცია", რის შემდეგაც დაიწყო მისი არნახული პოლიტიკური აღზრდა.

არც ის არის უცხო ქართველი საზოგადოებისთვის და არც ის არის შემთხვევითი, რომ აწ უკვე პრემიერად-ქვეყლმა 1999 წელს აშშ-ში პირველი ვიზიტის ტურზე კალიფორნიიდან, ამერიკელი სომხების ცენტრიდან დაიწყო. როგორ გაეგოთ რა ამბავი ჩაუტანა მამინ მან იქ. ვის და რატომ შეხვდა? როგორც ცნობილია, ამერიკაში საზღვარგარეთელი სომხების დასაპირა საემაოდ ძლიერია, აქვეა მასონებისა და სიონისტების მსოფლიო ცენტრები, ხოლო ნიუ იორკში, მანჰეტენის ცენტრში, ფუნქციონირებს უზარმაზარი სომხური ეკლესია, რომელიც აშკარად და დაუფარავად აცხადებს სომხეთს ყველა დროისა და ყველა თაობის ოცნებას სამცხე-ჯავახეთის მიტაცებისა და მისი სომხეთისთვის მიერთების სურვილს!

როგორ უნდა გაგვეგოთ რომელი მათგანისაა რა დაეაღება მიიღო და სად რა ილაპარაკა? ან რა ამბავი ჩაუტანა საქართველოდან თავის ოკეანეს-გაღმელ, როგორც მამის მხრიდან სისხლისმიერი მოდგმის მფარველებს, ისე იქვე მრავალად მოსახლე დედის მხრიდან სისხლისმიერი ჯილავის პოლიტიკურად და ფინანსურად გაგლეჩიან ბოესებს?

ქართველმა კაცმა შეიძლება მხოლოდ ვარაუდი გამოთქვას მის ვიზიტზე, რადგან ფენიას მთელი მოღვაწეობა და მისი საქმიანობა არის მიმართული ქვეყნის დასუსტების, მისი შემდგომი დამოლა-დაქუცმაცებისკენ!

წერილის დასაწყისში შემთხვევით არ გვისხვება ამერიკაში მოქმედი სომხური ეკლესია, რომელსაც კოორდინაციას უწევს სრულიად სომხეთის საეკლესიო საბჭო და მათი კათალიკოს... წინა თაობის დარწმუნებული ვარაზისთვის მათი კათალიკოსის, ვაზგენას "ქველმოქმედება", შვიი ზღვის სანაპირო ზოლის ათვისებისა და იქიდან ქართველთა გამოდევნის დაფინანსების შესახებ! სომხებს რომ დღეს არ გასწენიათ ქართული მსუვე მიწების მითვისების მადა. საყოველთაოდ არის ცნობილი და ეს არის საერთოდ სომხეთის სახელმწიფო დონეზე აყვანილი პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ამ საქმეში სომხური ეკლესია აშკარა თუ ფარული გზებით, ათასნაირი ხერხებით, ხშირად კი ქველმოქმედებას ამოფარებული ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ამ გეგმის განხორციელების საქმეში! სწორედ ერთ-ერთი ასეთი ხერხით, გამყიდველ ვაიქართველთა ხელშეწყობითა და წაყრუებით არის ზანაზან ანტონიანი (ზურაბ ფენიას) ჩვენს ქვეყანას თავსმოხვეული!

როგორც ამ ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით ირეკვა, ზურაბ ფენიას მამით მძა, არის სომხეთის ეკლესიაში რანგით მესამე პირი. ვთხოვთ დააკვირდეთ ამ წერილს:

"В Грузии в последнее время ущемляются и грубо нарушаются права азербайджанцев, идет гонение на работников грузино-азербайджанской газеты "Ени дюшюндже" ("Новое мышление"), которая издавалась в

Тбилиси. Планируется ликвидация азербайджанской организации "Милли гейрят", действующей в Марнеули с 1989 года, а также устранение лидеров этой организации - экс-депутата Зумруды Гурбанлы и председателя организации Алибалы Аскерова", - говорится в заявлении.

იმისათვის, რომ საბოლოოდ გარეზან ახალგაზრდობის გონება და რაც შეიძლება მეტად გააერცვლონ დემონური გავლენა, სიმღერების ჩანაწერებში ჩადებულია ე.წ. "ქვეცნობიერი ინფორმაცია", ანუ საზარელი სიტყვები, მოწოდებები, წვევლა, რაც ჩანაწერის უკუღმა მოსმენისას კარგად ისმის. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქვეცნობიერი ფუნა იჭერს ამ ფრაზას მაშინაც კი, როდესაც სიმღერა მსმენლისათვის უცნობ ენაზეა დაწერილი. აღსანიშნავია, რომ "როკ-ენ-როლის" ყველა ავტორი სატანური "ეკლესიის" წევრია, ხოლო როკ-ჯგუფების უმრავლესობა ამა თუ იმ ლუციფერულ რელიგიას აღიარებს. როდესაც ფირფიტას უშვებენ, ანდა ახალი სიმღერის კონცერტზე გატანას აპირებენ, ისინი თავიანთი ტაძრის ქურუმს სიხოვენი მოაჯადოვებს ეს ნაწარმოები, რათა მან წარმატება მოიპოვოს.

ელის კუკერმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ დემონთან დადო ხელშეკრულება და ამ ამბავმა მას დიდი აღიარება მოუპოვა.

მიკ ჯაგერი ("როლინგ სთოუნზის" წევრი) სატანის კულტის მსახური იყო და შავი მაგიის ყველა საიდუმლო იცოდა. თავის თავს იგი "ხორცმეხმულ ლუციფერს" უწოდებდა. ამას მისი სამი სიმღერაც მოწმობს: "ემშაკისადმი კეთილგანწყობა", "მის სატანურ უდიდებულებას" და "ჩემი ძმის, დემონის შელოცვა".

ელტონ ჯონმა განაცხადა, რომ არასოდეს დაუწერია და უმღერია ისეთი სიმღერა, მანამდე ჯადოსნურ ენაზე რომ არ ყოფილიყო დაწერილი.

ჯონ ლენონმა "ემშაკის თეთრი ალბომის" საჯარო შესრულებისას თქვა: "ქრისტიანობა გადაშენდება-იგი დაატარდება და მერე გაქრება. მე მართალი ვარ და ჩემი სიმართლე დადასტურდება... ჩვენ ახლა უფრო პოპულარული ვართ, ვიდრე იესო ქრისტე".

ახალგაზრდებს კარგად ახსოვთ "ლედ ზეპელინების" ჯგუფის სიმღერა "კიბე ცისკენ". მესამე სტროფის უკუღმა მოსმენისას გამოდის: "შე უნ-

როკი?

და ვიცხოვრო სატანისათვის", ხოლო სიტყვებში: "კიდევ გაქვთ დრო, რომ შეიცვალოთ გზა, რომელსაც ადგახართ"-საყვარელო სატანა, შენს გარდა ვერაფერს მიჩვენებს გზას".

"ბლექ ოუკ არკანზასის" ჯგუფის სიმღერაში, "როდესაც არკანზასში ელექტრობა შემოვიდა", ერთ-ერთი ნაწილი უაზრო სიტყვების გროვას წარმოადგენდა. უკუღმა მოსმენისას გამოდის: "სატანა... სატანა... სატანა... იგი ღმერთია... ღმერთია... ღმერთია...", რის შემდეგაც დემონური სიცილი გაისმის.

ფირფიტების ჩასაწობი პაკეტებიც კი უკიდურესად გამოწვევად გაფორმებული. ესაა ეფოტოკოური და ეროტიკული, სატანური და სადისტურული სურათები, სიმბოლოები, გამობრუნებული სამკუთხედები (ემშაკისა და ჯოჯოხეთის ქვესენელის სიმბოლო), პირამიდები, მაგიური წრები და ვაგინალური ნიშნები (მაგ. 666), ადამიანთა მსხვერპლმეწიფრების, შავი მესების, ჯოჯოხეთური წარმომადგენლების სცენები.


როკ-კონცერტების უმრავლესობას დიდი მსხვერპლი ახლავს თან. გონდაკარგული ბრბოს ზედახორაში ზოგს თელავენ ან ახრჩობენ, ზოგს კი ნარკოტიკების ზედმეტი დოზა უღებს ბოლოს. ლოს-ანჯელესში ერთ-ერთ კონცერტზე 650 ახალგაზრდა დაიღუპა და რადგანაც საცხედრებს მაცივრები უკვე გადატვირთული იყო, ამიტომ როკის 650 მსხვერპლი დერეფანში დასვენეს. შენობაში სიკვდილის საზარელი სუნი დატრიალდა. გეგმების ამოცნობა ვერ მოხერხდა-ეს ახალგაზრდები უმეტესად ოჯახიდან გამოქცეულები იყვნენ. ჟურნალისტ ქალს, ჯული არგანონის, რომელსაც შემთხვევით ადგილიდან რეპორტაჟი მიჰყავდა, სატანამ ყურში ჩასწორწულა: "კარგად დააკვირდი, ეს ჩემი ნადავლია! ამ დარბაზში ჩემი ნადავლის გამოფენაა!"

ეს კი "მძიმე როკის" სტილის ჯგუფის "ა-ეს-დ-ეს"-ის ჯგუფის სიმღერის სიტყვები გახლავთ:

"შე ვარ მგრგინივი ჭეჭა-ქუხილი, წვიმის მშობელი, გრიგალად მოვიდი, ჩემი ელვები მთელ ცას სერავენ, ვერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ შენ მოკვდები! ტყვეებს არ ვიყვან, არაფერს დაგვოვავ, ვერაფერს შეძლებს წინ აღმიდგეს! მე მოვიპოვე ჩემი ზარები და ჩემთან წავიყვან, ექ. ჯოჯოხეთში! შენ ჩემი იქნები! ჯოჯოხეთის ზარები დიან, ჯოჯოხეთის ზარები!"

ნუ იფიქრებ, რომ ქრისტიანს შეუძლია ხანდახან მაინც მოისმინოს ამგვარი, თითქოს შედარებით "უსწინარი" სიმღერები. ეკლესიის ყურმილის ვერაფერს მოიწვევს და ვერც ხენში ხე გამოიღებს კეთილ ნაყოფს და შეუძლებელია, ჯოჯოხეთის ქვესენელში ფესვგადგმული ხე უნებელ ნაყოფს იხსამდეს. განა შეიძლება, ქრისტიანი ისე, გასართობად გაეკუსებროს ემშაკს, ანდა მასთან ერთად დაუაროს დაკლური?

ასე რომ, მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ყველაზე "მსუბუქი" გატაცებაც კი როკ-მუსიკით არის საკუთარი სარწმუნოების დაღაბა, უფლის შეურაცხყოფა, მისგან დაშორება, დამლუპველი ხიბლი, ბნელეთის სულებთან ერთობა, სატანასთან გათამაშება! მამ შეინანე, თუ ოდესმე გკონია ეს გატაცება და ნუღარასოდეს დაუბრუნდება მას!



ნიუ-იორკში 2001 წლის 11 სექტემბერს განადგურებული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპი - კოშკების ნგრევის "ეპიცენტრში" გაიმართა ახალი ცათამბჯენის - "თავისუფლების კოშკი" საძირკვლის ჩაყრის ცერემონია. უზარმაზარ გრანიტის ბლოკზე ამოტივტივდა წარწერა: "ყველა იმ პირთა ხსოვნის უკუდავსაყოფად, რომლებიც დაიღუპნენ 2001 წლის 11 სექტემბერს. გაუმარჯოს თავისუფლების უდრეკ სულს".

პირველი ქვის ჩადების ცერემონიაში მონაწილეობდნენ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენების დანგრევის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრები, ნიუ-იორკის შტატის ხელისუფლების წარმომადგენლები. ცერემონიაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, არქიტექტორი დენიელ ლიბესკინდი, რომელმაც შეიმუშავა უბედურების ადგილზე მემორიალური ცენტრის მშენებლობის გეგმა და ლარი სილვერსტაინი, რომელსაც ეკუთვნის მომავალი მშენებლობის მიელი უბნის იჯარა.

ახალი შენობა მსოფლიოში ყველაზე მაღალი იქნება. მისი სიმაღლე შეადგენს 1776 ფუტს (541 მეტრი). კოშკის სიმაღლე ფუტებით შეესაბამება ამერიკის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების წელს, საზეიმო ცერემონი-

BBC საქართველოზე პაპუნებში

1954 წლის 5 ივლისი არა მხოლოდ "ბი ბი სი"-სთვის არის მნიშვნელოვანი თარიღი. ამ დღეს ტელეეთერში პირველად გავიდა ახალი ამბების ბიულეტენი, რითაც საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში უმნიშვნელოვანეს ჟურნალისტურ ბრენდს, სამაგალითოს და მისაბამს მთელ საერთაშორისო მედიაში. ბრენდს, რომლის ახალ ამბებსაც ყოველკვირულად ბრიტანეთში 40 მილიონ ადამიანი ადევნებდა, სახელი დაეწოდა "ბი ბი სი-50 მილიონი მაყურებელი ჰყავს მსოფლიოს მასშტაბით".

50 წლის ოუბლე "ბი ბი სი"-მ გამოჩვენა ადრეინა. მოეწყო საზეიმო ღონისძიებები ტელეარხის ვეტერანები და ახლანდელი წამყვანებისთვის. კორპორაციის ვებ-გვერდზე დეტალური და ძირფესვიანი მასალა ჩაიდო "ბი ბი სი"-ს ტელევიზიის ისტორიის, მონაცემებისა და რეიტინგების, წამყვანებისა და პროგრამების შესახებ. ასე რომ, უკან დატრიალდა დროის მანქანა და აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებსა და სადამ პუი-ის პროცესებზე მოლაპარაკება "ბი ბი სი" 50 წლის წინანდელ მსოფლიოში დაბრუნდა.

1954 წლის 5 ივლისის დღე რიზარდ ბეიკერის ისტორიული განცხადებით მოსალოდნელია: "თქვენ შეგიძლიათ, თვალი ადევნოთ ახალი ამბების ბიულეტენს". - იყო ის ჯადოსნური სიტყვები, რომელიც 19:30 წუთ-ზე გაისმა და რითაც "ბი ბი სი"-მ ახალი ცხოვრება დაიწყო. შემდეგ წამყვანმა ჯონ სნევიმ ინდო-ჩინეთის სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და ტუნისში ფრანგების მიერ მიღებულ უსაფრ-

ნიუ-იორკში "თავისუფლების კოშკის" მშენებლობა იწყება

ნიუ-იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა ცერემონიაზე განაცხადა, რომ მშენებლობის დაწყებისათვის ძნელია უფრო შესაფერისი თარიღის შერჩევა.

ახალი შენობის აგებისათვის გამოცხადებული პირველი კონკურსი წარუმატებლად დასრულდა, რადგან ვერც ერთმა პროექტმა ვერ დაიმსახურა მოწონება.

დაინიშნა მეორე კონკურსი, რომელშიც გაიმარჯვა არქიტექტორმა ლიბესკინგმა. მისი გეგმა ითვალისწინებდა შესამედი მილის სიმაღლის ცათამბჯენის მშენებლობას დაკიდებული ბალებით და სპეციალური "სარკმლით", რომელშიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის კოშკების დანგრევის დღესა და საათზე შეადგენდა მზის სხივი. მაგრამ არქიტექტორის გაბედული გეგმა გადაწყდა იმ პირთა პრაქტიკულ მოსაზრებებს, რომლებიც აპირებენ იჯარით გადასცენ ახალი შენობის ფართობები. საბოლოო ანგარიშით, მოხდა კლასიკური კომპრომისის მიღწევა კომერციას, პრაგმატულ მოსაზრებასა და არქიტექტურულ გენიას შორის.

ლარი სილვერსტაინის მიერ დაქირავებულმა არქიტექტორმა პროექტში ცვლილებები შეიტანა. ცათამბჯენის სიმაღლე უცვლელი დარჩება, სტილიც შენარჩუნებული იქნება, მაგრამ "ციური ბალები" შეიცვლება შენობის ზედა ბაქანზე განლაგებული ევრეთ წოდებული "ქარის წისქვილებით".

ახლა "თავისუფლების კოშკის" პროექტის განხორციელებას დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს როგორც ნიუ-იორკის, ისე მთელი მსოფლიოს საზოგადოება. თუმცა, ნიუ-იორკელთა უმრავლესობას მაინც, რომ ტრავმის ადგილზე უმჯობესი იქნებოდა ხელახლა აეშენებინათ "ტყუპი - ცათამბჯენები".

სი"-ს სატელევიზიო ახალი ამბების პიონერებს...

თუმცა, ბიზნესი ვითარდებოდა. წინსვლა პირველივე წელს საგრძნობი გახდა. ახალი ამბებისთვის გამოყოფილი დრო "ბი ბი სი"-ზე 1954-55 წლებში ორჯერ გაიზარდა. 1955 წელსვე საინფორმაციო გადაცემაში პირველი რეკლამაც გაჩნდა, უფრო ზუსტად კი მუშაობა დაიწყო ITN-მა, "დამოუკიდებელმა სატელევიზიო ახალმა ამბებმა".

დიდი ცვლილებები განხორციელდა სარედაქციო სტრატეგიის თვალსაზრისითაც. "ბი ბი სი"-ს პირველი "დამნაშავეები" დაქტორებდნენ და კომენტატორებდნენ იქცნენ. ანუ, საინფორმაციო ბიულეტენებზე მიამაგრეს უკვე ნამდვილი ჟურნალისტები, რომლებიც მორიგე რედაქტორების მიერ მომზადებულ ტექსტებს კი აღარ კითხულობდნენ, არამედ თვითონ წერდნენ სათქმელს.

ისინი იყვნენ პირველი ტელეგარსკვლავებიც, პირველი "სელებრითები", სრულიად გამოჩენილი ფიგურები; ასეთი იყო რობინ დეიცი. ეს სახელი ინგლისური მედიით დაინტერესებულმა ყველა მკვლევარმა იცის. მისი "გარდევვა" "ბი ბი სი"-ს ტელეეთერში სუეცის კრიზისის დროს მოხდა, როცა ყურნალისტმა ეგვიპტის ლიდერს კოლონელ ნასერს ჩამოართვა ინტერვიუ. მოგვიანებით რობინ დეიცი წვეული ღვაწლისთვის სერიც გახდა. მარტინი თეატრმა კი ის ასე დაახასიათა: "სერ რობინ დეიცი მარტონი, სრულიად დამოუკიდებლად, დააფუძნა და განავითარა თანამედროვე პოლიტიკური ინტერვიუის ამ საქმის დიდოსტატი

იყო"...

მსგავსი ლეგენდები "ბი ბი სი"-ს სატელევიზიო ახალ ამბებს დაბადების პირველ ათწლეულში კიდევ მრავლად აქვს. თუნდაც, ზემოთ ნახსენები სუეცის კრიზისი გავეხსენოთ. მაშინ ხომ მინიორისი ტელევიზიოში გათამაშდა - მთავრობა "ბი ბი სი"-სგან სუეცის ამბების გაშუქების დროს სრულ მხარდაჭერას მოითხოვდა, უფრანგულად აღწერდნენ; იყო ზეწოლა, მაგრამ არ ნებდებოდნენ და ბოლომდე გაუძლეს კიდევ იმავე ათწლეულში "ბი ბი სი"-ს მრავალი საპატიო სტუმარიც ჰყავდა, ეთერს ამშვენებდა ექსცენტრული სალვადორ დალიცი, ექსცენტრული ულვამბითა და ციტატებით.

გასახსენებელი "ბი ბი სი"-ს კიდევ ბევრი აქვს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბრენდი "ბი ბი სი" დღეს მსოფლიოში უდიდესი ახალი ამბების სამაშველო ორგანიზაციის სტატუსს ფლობს. მისთვის მუშაობს 2 ათასზე მეტი ჟურნალისტი. ფუნქციონირებს რამდენიმე დამოუკიდებელი ფილიალი - "ბი ბი სი უორლდ", "ბი ბი სი ნიუს ონლაინ", ციფრული არხი "ბი ბი სი ნიუს 24".

ამ ბრიტანული იმპერიის სათავეში მდგომი რიზარდ სემბრუკი კი ოქროს ეუბლიზე თავისი შვილობილის შესახებ აცხადებს: "შენება და წინსვლა "ბი ბი სი"-მ თავისი ფანტასტიკური მექანიკის საფუძველზე უნდა განაგრძოს". ასე რომ, იფაიეთ ყურადღებით, დაბადებიდან 50 წლის თავზე ეთერშია "ბი ბი სი"-ს საინფორმაციო გამოშვება, გამარჯობათ...



დღეებში მარლონ ბრანდო



... როგორც იქნა, ექიმებმა დიაგნოზი დაუსვეს: გულის იშემიური დაავადების უკანასკნელი სტადია. ბრანდო ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიაერთეს. მას ძლიერად შესწევს ლაპარაკის უნარი, მაგრამ მინც უარს აცხადებს სტაციონარში მყურნალობაზე. ირწმუნება, რომ საყუთარ სახლში სიკვდილი ურჩევნია. ტრანსიდან გამოსვლის წუთებში დიქტოფონში წერს საყუთარი დაკრძალვის გეგმას და მეკვიდრეობის განაწილების მკაცრ ინსტრუქტაჟს მრავალრიცხოვან ნათესავებს შორის. გენიალური მსახიობი, რომელსაც 2004 წლის 3 აპრილს 80 წელი შეუსრულდა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლის.”

ანამ საქმაროდ გამორთო რადიო. დღევანდელი უქმე მისთვის საშინელი ინფორმაციით დაიწყო. არც გამჭოლი ტკივილი უგრძნია გულში და არც რაიმე მსგავსი. უბრალოდ, სუნთქვა უჭირდა. იგი 70 წლის იყო.

45 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ანა მარლონ ბრანდოს დასცილდა. ერთი წელიც კი არ უცხოვრიათ ერთად. ანას გულითა და სულით ეწადა, დაევიწყებინა საზარელი 14 წელიწადი, როდესაც სასამართლოდან სასამართლოში დაწინაურებდა და მოთმინებით ელოდებოდა, როდის არგუნებდნენ შვილს - მისსა და ბრანდოს საერთო ვაჟს. ახლა მას საშინლად უნდოდა, ჩაეხედა მარლონ ბრანდოს თვალებში და ამოეკითხა იქ სასოწარკვეთილება, ეჭვი, დაბნეულობა, თუნდაც შიში ან მონანიება. ანდა მინიშნება რაიმე ემოციაზე, რომელსაც ბრანდო არასდროს განიცდიდა. ანას აინტერესებდა, განსაკუთრებულ ზიარებაზე მაინც თუ ხვდებოდა ოდესღაც მისი რჩეული, რომ მისი ყოველი საქციელი ახსნას მოთხოვდა. ქორწინების გარეშე ბრანდოს 25 შვილი გაუჩნდა. მას უყვარდა სპონტანური, სასიყვარულო თავგადასავლები. ბრანდოს ქალიშვილია, ჰაიმი, თავი მოიკლა, როდესაც შეიტყო, რომ მისი საქმრო მამამისის მითითებით გამოასალმეს სიცოცხლეს. ბრანდოს ვაჟს, რომელსაც მკვლელობის მუხლით ასამართლებდნენ, 6 წლით პატიმრობა შეუფარდეს. დირს კი გაგრძელება...

დღეს მშვენიერი დღეა. ასეთ დროს ცუდზე არ გეფიქრება. წინა დღით ანამ დასავლეთ პოლიციაში წასვლა დაგეგმა ყვავილების საყიდლად. უცაბედად გაახსენდა, რომ მარლონს ყვავილები სძულდა. მისი რჩეული ხუმრობა იყო ანას საყვარელ გაზონზე მოსაქმება.

ახლა სადღა წავა, რომელ ყვავილებზე შეიძლება საუბარი, როდესაც მის უძვირფასეს ადამიანს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.

...პირველად ერთმანეთი 1955 წლის ოქტომბერში ნახეს, “პარამაუნტის” სტუდიის ერთ-ერთ სასადილოში. ანამ თვალები მილულა და თავი წარმოადგინა ინდიელ ლამაზმანად, რომელსაც მეწამული სარი ეცვა. ანა 21 წლის იყო. სულ ერთი კვირის წინ ჩამოვიდა პოლიციუდის დასაპყრობად ლონდონიდან, სადაც კათოლიკური კოლეჯში სწავლობდა. ინდიელი დედისგან მუქი კანი და შავი ხავერდოვანი თმა გამოკვავა; ინგლისელი მამისგან კი - ოქროსფერი ჭორფლი. ანას საიმონებდა ამერიკელი მამრების დაფინანსებული მზერა, მაგრამ სრულიად უმანკო გოგონა მხოლოდ იმასდა ახერხებდა, რომ მორცხვად დაეხარა თავი. ანას დებიუტი შედგა ფილმში “სამელოვიარო თოვლი”. სასადილოში ანამ მოკვდივით დაიკვირა, რომ ვიღაც უთვალთვალავდა. უცნობი მამაკაცი თავხედურად ბურღავდა მას თვალბით და თან ეკვლეუცებოდა ვიღაც ქერა, ვულგარულ ლამაზმანს. ეს თვით მარლონ ბონგოა, დაახლოებით ასე ფიქროს მისი სახელი - უჩურჩულა ანას ლაილმა, თავისმა მეგობარმა. ბრანდომ მიატოვა თავისი ქალი და პირდაპირ ანას მავდიისკენ გამოემართა.

- გაუმარჯოს, - ამოღერდა ბრანდომ და დაიხარა ფეხის მოსაფხანად. ქალმა გაიღიმა და პასუხად მორცხვად დაუკრა თავი. თავისთვის კი გაიფიქრა, რომ მისტერ ბონგოს გამოჩენულად ნავარჯიშები სხეული აქვს და წაგავს პროფესიონალ მოკრევეს. მისი მგრძობიარე ტუჩები, გატეხილი ცხვირი, გამჭოლი რუხი თვალები, კულახდილად გამაშვლებელი მზერა გაუსაძლის სექსუალურ ელფერს სხენდა. მოგვიანებით ანამ შეიტყო, რომ ბრანდოს ცუდი მხედველობა ჰქონდა, მაგრამ იმიჯის გამო იხტობარს არ იტყებდა და ამიტომაც სათვალეს არ ატარებდა.

ბრანდომ კვლავ მოიქცა ფეხი და... გაუჩინარდა. ასეთი იყო მათი პირველი, უცნაური შეხვედ-

რა. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ბრანდომ ოტელში დაურეკა ანას, სკოლის მოწაფესავით ენის ბორძივით შეახსენა პირველი შეხვედრის შესახებ და ვახშამზე დააბთივა.

პირველ პაემანზე ბრანდო მოვიდა ნაყინის გამყიდველივით გამოწყობილი: თეთრი პოლოტი, თეთრი შარვლით, თეთრი წინდებით და თეთრი მოკაინებით. ანამ ერთბაშად შეძლო მისი გულის მოგება: რას საქმიანობ? - ჰკითხა ანაზად. ბრანდომ სხვათა შორის უპასუხა: მსახიობი ვარ. ქალი ინტერესს ვეღარ მალავდა. წარმატებული? - კითხვა უპასუხოდ დარჩა.

ქალიშვილს წარმოადგინა არ ჰქონდა, რომ 30 წლის ასაკში ბრანდო უკვე ლეგენდა იყო. მან ითამაშა ფილმში “ოცნებების ტრამპი” და მიიღო “ოსკარი” ფილმისთვის “პორტში”. მარლონი გაოგნებული იყო. იგი პირველად ებასებოდა ქალს, რომელმაც ვერ იცნო. მსახიობმა დახვეწილი რომანი გააბა ანასთან. ისინი დადიოდნენ საუკეთესო რესტორნებში, კინოთეატრებში, სიმფონიურ კონცერტებზე. სკინობდნენ პოლიციუდის მთავარ ბულვარზე.

ბრანდოს რომანის შესახებ ჭორაობამ პოლიციაში პავს მიადგინა. გახეთქილი აჭრელებული იყო ასეთი სათაურებით: “წითელქუდა გაება ველური მელის მახეში”.

ერთხელაც, მორიგი პაემანისას, როცა ანა და ბრანდო ანას სახლში ტელევიზორს უყურებდნენ, ბრანდომ აიტაცა ხელში ანა და გააქანა საძინებლისკენ.

- რას აპირებ? - იკითხა ანამ.
- ყოველთვის არც ისე საშინაო, როგორც გგონია, - იყო პასუხი.

ბრანდომ ანა ლოგინზე დააგდო და ყოველგვარი სასიყვარულო პრელუდიის გარეშე დაუფულა მას. ყველაფერი ხუთ წუთში დამთავრდა. ძლივსდა ისმოდა სინელში მიმავალი ბრანდოს ნაბიჯების ხმა. უსაიმიოვნო სიჩუმე დაისადგურა. ანა სხეულზე სისველეს გრძობდა. ბრანდოს ე. წ. სიყვარულის გამოხატულება უფრო გაუპატიურებას ჰგავდა. მიუხედავად ცხოველური აქტისა, და შეიძლება ამის გამოც, ქალმა იგრძნო, რომ ეს მხეცი შეუყვარდა.

ბრანდო არ აფრთხილებდა ანას თავისი ვიზიტების შესახებ. თავხედურად აბრაზუნებდა საყვარელი ქალის კარზე შუადამისას, გამთინისას. ერთხელ მთელი სადარბაზო დააყენა ფეხზე, როცა კარი არაეინ გაუღო და ვიღაც მუხობელი მოხუცისგან შეიტყო, რომ ანა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ჭლექი აღმოაჩნდა. თავზარდაცემული ბრანდო მიყარა სტაციონარში და ანას ლოკავინა დაეკრა. მერე ყოველდღე სტუმრობდა მასთან. უწყურდა გულის ამარყვებელ წერილებს, საათობით იჯდა მძინარე ქალის სასთუმალთან. პალატაში ყვავილების ტევა არ იყო. ბრანდომ კინოაპარატც მოიტანა და ძველ კომედიებს ატრიალებდა, რათა ანა გაემხიარულებინა. ერთ-ერთი წერილში ბრანდო ანას სწერდა: “შენ თითქმის დამაჯერე იმაში, რომ ქალს შეიძლება თავყანი სცე. ახლა ეჭვი არ მეპარება, რომ მონასტერში გაიხარე და ჩემთვის გინახუნდნენ. ჩემო ანგელოზო, ჩემო წმიდა ქალი, შენ მოხვედი სწორედ მაშინ, როდესაც რწმენა თითქმის დაკარგული მქონდა...”

მაღე ბრანდომ სახლიდან საკვარეულო ნივთების მოხიდა დაიწყო. მან მოუტანა ანას სამკაულები, ბიბლია და ბალიში, რომელზეც დედამისმა დალია სული.

ერთხელ ბრანდო ანას სრულიად განსხვავებული სახეიმი სამოსით მიადგა. ანა მიხვდა, მის თავს მნიშვნელოვანი რამ უნდა მომხდარი-

ყო. ბრანდოს თითები უკანკალებდა, სიტყვები ეკარგებოდა.

- რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი უნდა გაგიმხილო. ასე არასდროს ვყოფილვარ დარწმუნებული საყუთარ გრძობებში. მინდა შეგერთო ცოლად. - ამოსცრა ბრანდომ და აბლაღვდა. ანამ უხერხულობა იგრძნო. ქალი ლოგინზე იყო მიჯაჭვული, თმები აწეწოდა. ანაზად მოუნდა, ლამაზი კაბა ცმოდა. მან ხელები გამეორა მარლონისკენ და ცრემლები მოსწმინდა.

- შენ ყველასგან განსხვავებული ქალი ხარ, ერთადერთი და განუყოფელი, - კვითხებდა მამაკაცი. ასეთი ბრანდო ანას ჯერ არ ენახა. “როცა შენს გვერდით ვარ, შლეგიანით ვიცნებობ, რათა ვიყო მაქსიმალურად კარგი”, - წერდა ბრანდო ანას.

საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე მარლონმა ანა დეიდამისთან წაიყვანა და იქ დააბინავა. მალე იქორწინეს. როდესაც საძინებელში ავიდნენ, ანამ ლოგინზე ვიდაცის ქერა პარიკი დაინახა.

- რა არის ეს? - ალაღად გაიკვირა ქალმა.
- ემშკა წაიღოს, რიტას დაეწივება... ნაძირალა, მუდამ ვეღაფერს ფანტაჯს. ბრანდოს სისხლმა აახსა სახეზე და ისე ხეთქა მუშტი კედელს, რომ მტვერიანი გადაიფიქვა.

- რიტა? რიტა აქ შენთან ერთად ცხოვრობდა, მანამ შე საავადმყოფოში ვიქცე? - ცრემლნარევი ხმით იკითხა ანამ. - დაუყოვნებლივ წამიყვანე შინ, ახლავე!

ბრანდო ქადაგად დაეცა. მუხლებზე დახობდა, პატივებს ითხოვდა. მოგვიანებით ანამ შეიტყო, რომ რიტა მორენო ბრანდოს საყვარელი იყო 12 წლის მანძილზე (ქორწინებამდე, ქორწინების დროს და ქორწინების შემდეგ). სამი საათი არეკვედნენ ურთიერთობას. ბოლოს შერიგდნენ. შერიგება ფეშენებელურ რესტორანში აღნიშნეს. ახალგაზრდები დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ ბედნიერ მომავალში.

ახლადქორწინებულები საძინებლისკენ გაემართნენ. უცებ სადარბაზოს კარზე გამეტებული ბრახუნი ატყვდა.

- ღირო, სად დაეთრეოდი ნახევარი დამე? დაუყოვნებლივ გამიღე კარი! რიტა ვარ! რიტა! - ქალის ნრეყული ხაგილი ღამის წყვდიადს უერთდებოდა.

მარლონი წყველა-კრულვით მიაწყდა კარს. ანა ზევით დარჩა. “... მე თუ ის?... დემონო!.. ნაძირალა!...” შემდეგ გაისმა კარის ბრახუნი და ხმაური მიჩუმდა. ბრანდო ამობრუნდა საძინებელში. იმ დამეუ ჩაისახა მათი ვაჟი კრისტინი დევი ბრანდო.

... ქორწინების შემდეგ ანამ და მარლონმა ხუთთაბიანი სახლი შეიძინეს, რომელიც განმარტობით მდებარეობდა მალხოლანდ დრაივის შოსეს მახლობლად. ანას ფეხმძიმობა ამ უკაცურ ადგილას მიედინებოდა. ქალი თითქმის სულ მარტო იყო. ბრანდომ მოიწყინა. ერთხელ ფეხი დაუცდა, წაბორძიკდა, დაეცა და გონება დაკარგა. როდესაც მოსულიერდა, პირველად “სასწრაფოს” ფანჯრიდან ბრანდო შენიშნა. იგი კაფეში მაგიდასთან იჯდა და ვიღაც შავგერემა ქალს ესაუბრებოდა. ანა ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა მათ შორის. რატომ გარბოდა ბრანდო სახლიდან, რატომ დალატობდა. მთურალი ბრანდო უცერემონიოდ უვარდებოდა სახლში ყოფილ ცოლს დღე-ღამის ნებისმიერ დროს და დებოშებს უწყობდა. პოლიციაში რეკავდა შემდეგი სიტყვებით: დაუყოვნებლივ მობრძანდით, ჩემმა ყოფილმა ცოლმა მოკვლა დამიპარა.

ასე აწამებდა ბრანდო ანას 14 წლის მანძილზე.

... რამდენიმე წლის შემდეგ ანამ შეიტყო, რომ მარლონს უამრავი შვილი ჰყავდა, ოფიციალურად კი მხოლოდ რვა აღიარა. რატომღა ვერ დაანება კრისტინას თავი? ალბათ, იმიტომ, რომ იგი მისი პირველი ვაჟი იყო. ბრანდო ქირობდა დეტექტივებს და უთვალთვალავდა ანას. ისეც მომხდარა, რომ ახალ მიჯნურთან ერთად მისულა სტუმრად მასთან. ანამ თავს საშინელი განაჩენი გამოუტანა: ნარკომანად იქცა. ეს კი მშვენიერი საბაბი იყო მომავალი სასამართლო პროცესისთვის. ბრანდომ ხმაურიანი პროცესი წამოიწყო. დედის განარკომანების საფუძველზე კრისტინა მამას არგუნეს. ბავშვი ნერვიული და არაადეკვატური გახდა. ჯიუტობდა, მამას არ უჯერებდა. სრულიად უმართავი იყო. განაჩენის შემდეგ ანა უკიოდა ბრანდოს: - უჩრხული! არ გაბელო ჩემი შვილის წაყვანა! მე გაგაჩინე! ჩემია! შენ მოკლავ მას!..

ბრანდო და კრისტინა სადღაც გაქრნენ. ნახევარი წელი გავიდა ისე, რომ ანამ შვილის ასავალ-დასავალი არ იცოდა. ერთხელაც მის ნაქირავებ ბინაში გაისმა სატელეფონო ზარი:

- მის ანა კამფის ვესაუბრები? მე მარლონის და, ფრენსის ლოვინგი ვარ. მისტერ ბრანდო დახმარებას გთხოვთ. კრისტინა სრულიად უმართავია და მამას აღარ უჯერებს. იქნებ მიიღოთ შესაბამისი ზომები. სახლთან მანქანა გელოთ, შავი “ტანდერბენდი”. თქვენ წაგიყვანენ, სადაც საჭიროა.

ანამ ვერ იცნო შვილი. ის გამუდმებით ქცეინივით იქექებოდა, მხეცის ნამიერვით იღრინებოდა და დედას მუშტს უღერებდა.

შვილთან შეხვედრის შემდეგ ანა პირდაპირ სასამართლოსკენ გაემართა. მოსამართლემ დახედა ანას მიერ წარდგენილ ცნობებს ჯანმრთელობის შესახებ და უთხრა: “მის კამფი, შეიბრა-ლეთ თქვენი შვილი. დროზე! ცოტა ხანში გვიან არ იყოს!”

ბავშვი ანას დაუბრუნეს. მარლონს ამ დროს კრისტინისთვის აღარ სცხელოდა. მას ახალი რომანი ჰქონდა გაჩაღებული ტიპტელ ლამაზმანთან. ბრანდომ მას ოც მილიონად კუნძული უყიდა. მერე შვილების ახალი წყება გაჩინა.

მრავალი წელი გავიდა. ანა მოკრულ გათხოვდა. კრისტინა გაიხარდა, დაჭაბუკდა. მეთექვნი-დაც მუშაობდა, შემდეგ ნარკოდილორობა წამოიწყო. დედა-შვილი ცალ-ცალკე ცხოვრობდა. ურთიერთობა არ ჰქონდათ. ანამ გახეთქიანი შეიტყო, იმის შესახებ, რომ კრისტინამ მკვლელობა ჩაიდინა. მოკლა თავისი ნახევარძმა ქმარი. იგი ციხეში ჩასვეს. ბრანდომ კუნძული გაყიდა, რათა კრისტინისთვის საუკეთესო ადვოკატები დაექირავებინა და მისთვის სასჯელი შეემსუბუქებინა. კრისტინა ციხიდან გამოვიდა და კვლავ ჩაიდინა დანაშაული. ამჟამად მან მოკლა საყვარელი, რომელმაც კრისტინათან შეუთანხმებლად გადაწყვიტა მისგან შვილის გაჩენა.

...ანა მოგონებებმა გაიტაცეს. წარსულს იხსენებდა. მან ვერ გაიგო, რის გამო მოხდა მის ცხოვრებაში ანდენი ტრაგედია. ის და ბრანდო ორი სრულიად განსხვავებული ადამიანი იყო. მათ მთელი ცხოვრება შუღლში გაატარეს და ამ შუღლის მსხვერპლი კრისტინა გახდა. იგი მკვლელია. მის მიერ ჩადენილ დანაშაულში კი ბრალი მიუძღვის ორივე მშობელს - ანა კამფის და მარლონ ბრანდოს. ანამ ეს გააცნობიერა. ბრანდომ?

თარგმნა
მაია რუხაძე



მალაღი, ლამაზი, ათლეტური აღნაგობის კაცი, რომელიც ყველას პატივისცემას იმსახურებდა, პიროვნება, რომელმაც "საბჭოთა კავშირი" დაშალა და "ცივი ომის" ეპოქა ისტორიის კუთვნილება გახადა. ყველა ეს ეპითეტი ამერიკის რიგით მე-40 პრეზიდენტს - რონალდ რეიგანს ეკუთვნის, რომელიც 6 ივნისს გარდაიცვალა.

"როდესაც ღმერთი თავისთან მიმიხმობს, როცა არ უნდა დადგეს ეს დღე, ჩემი ქვეყნის უდიდესი სიყვარულით და იმ იმედით წავალ ამ სოფლიდან, რომ ამერიკას უკეთესი მომავალი ექნება", - ეს სიტყვები რონალდ რეიგანმა 1994 წლის 5 ნოემბერს წარმოთქვა, როცა უკვე იცოდა, რომ ალკაიძის საშინელი დაავადება ჰქონდა. იგი ერს წინასწარ დაემშვიდობა.

დღეს ბევრს დავობენ რონალდ რეიგანს პიროვნების თაობაზე, მაგრამ მისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც მუთითებენ იმ დიდ ღვაწლზე, რომელიც ამ კაცს ამერიკის ისტორიაში მიუძღვის. თანამედროვენი "რონის", როგორც ამერიკაში რეიგანს სიყვარულით ეძახდნენ, მეოცე საუკუნის უდიდეს პოლიტიკოსად მიიჩნევენ. რეიგანს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ამერიკისთვის, მან, კომუნისტების თავგამოდებულმა მოწინააღმდეგეებმა, შეძლო "წითელი ბოროტების" დამარცხება მთელ მსოფლიოში, თანაც მშვიდობიანად. მას თავისუფლების რაინდი უწოდეს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და ექსპრეზიდენტმა ბილ კლინტონმა.

გარდაცვალებიდან 30 დღის განმავლობაში მთელ ამერიკაში ფედერალურ შენობებზე დროშები დაშვებული იყო, ამერიკა გლოვობდა რეიგანს, იხსენებდა მის ღვაწლს ერისა და მსოფლიოს წინაშე. ამერიკა იმბიტომაც არის დიდი ქვეყანა, რომ ყველაზე უკეთ იცის საკუთარი გმირების დაფასება.

ამერიკის ისტორია მეოცე საუკუნეში რონალდ რეიგანის გარეშე წარმოუვლელია.

იგი დაიბადა 1911 წლის 6 თებერვალს - ჯონ ედვარდ და ნელი რეიგანების ოჯახში ტამპა-კოში (ილინოისის შტატი). მას ჰყავდა ორი წლით უფროსი ძმა ჯონ ნელი. მომავალი პრეზიდენტის მამა ფრესკომლის გამყიდველი იყო და ტამპიკოს ცენტრალურ მაღაზიაში მუშობდა. რეიგანების ხელმოკლე ოჯახი ყოველთვის უკეთესი მომავლის იმედით ცხოვრობდა. რეიგანები მალე დიქსონში გადავიდნენ საცხოვრებლად. რონის დედა იყო მორწმუნე ქრისტიანი, რომელმაც რეიგანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა. სკოლის წლებიდანვე ცხადი გახდა, რომ რეიგანს მსახიობის ნიჭი აღმოაჩნდა. იგი სკოლის პიესებში აქტიურად მონაწილეობდა. რეიგანი პოლიტიკითაც კოლეჯში დაინტერესდა.

21 წლის რეიგანმა იშოვა სამსახური დევენპორტის რადიოში კომენტატორად. შემდეგ NBC-ში გადავიდა, სადაც 5 წელი გაატარა და კარგი სამუშაო სტილიც ჩამოაყალიბა.

ბანიაში მონაწილეობდა ჯონ კენედის წინააღმდეგ. 1962 წელს კი, რესპუბლიკურ პარტიაში გაწევრიანდა. 1966 წელს პოლიუელის "კოვბოი" კალიფორნიის გუბერნატორი გახდა. რეიგანი მეორედაც აირჩიეს გუბერნატორად და 1974 წლამდე მართავდა კალიფორნიას.

რეიგანმა ადრეული პოლიტიკური მოღვაწეობიდანვე იმდენად მოხიბლა ტელევიზია და პრესა, რომ მასზე მხოლოდ კარგს წერდნენ. მედიის "ფაფორიტობაში" მას მსახიობის ის უნარი გამოადგა, რომელმაც პოლიუელში დიდება ვერ მოუტანა.

რეიგანმა 70-იანი წლებიდან დაიწყო კომუნისტების აქტიური დასამარცხებელი პროგრამა "ამერიკული ღირებუ-

თან - მიხეილ გორბაჩოვთან აქტიური მოლაპარაკებები, რეიგანის გეგმით განხორციელდა გერმანიის გაერთიანება, თუმცა იგი იმ დროს პრეზიდენტი აღარ იყო, მაგრამ მის გზას მისი დროის ვიცე-პრეზიდენტი და მისი პოლიტიკური მემკვიდრე ჯორჯ ბუში (მამა) აგრძელებდა. 1987 წელს ბრანდენბურგის (ბერლინი) ჭიშკართან რეიგანმა პირდაპირ მოუწოდა გორბაჩოვს - "ბატონო პრეზიდენტო, ეს კედელი უნდა დაინგრეს!".

რეიგანმა დაიწყო ისტორიული მოლაპარაკებები "საბჭოთა კავშირთან" "ცივი ომის" დასრულებაზე და წარმატებით დაავიწროვინა კიდევ. მან ისტორიული მოლაპარაკებები რეიგან-გორბაჩოვთან 1986 წელს დაიწყო. 1987 წელს



"როდესაც ღმერთი თავისთან მიმიხმობს, როცა არ უნდა დადგეს ეს დღე, ჩემი ქვეყნის უდიდესი სიყვარულით და იმ იმედით წავალ ამ სოფლიდან, რომ ამერიკას უკეთესი მომავალი ექნება!"

პრეზიდენტი რონალდ რეიგანი

პირველად ლოს-ანჯელესში 1937 წელს ჩავიდა, სადაც "უორნეს ბრანერ-სმა" მას კონტრაქტი გაუფორმა. მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ პოლიუელში რეიგანი კარგი ხმითა, გარეგნული მონაცემებითა და ქარიზმით ჩაველა. მართალია, მან პოლიუელში დიდი აღიარება ვერ მოიპოვა, როგორც მსახიობმა, მაგრამ ბევრი როლი კი შეასრულა. კარგი გარეგნობის გამო, ლამაზ რეიგანს, ძირითადად, ვესტერნების გმირების როლში ათამაშებდნენ. იგი 50-მდე ფილმში მონაწილეობდა და მხოლოდ ერთ მათგანში - "შეკლეები" შეასრულა უარყოფითი გმირის როლი.

რეიგანი ორივეჯერ პოლიუელში დაოჯახდა. 1940 წელს მან ნიჭიერი ასაღაზრდა მსახიობი ჯეინ უიმანი შეირთო ცოლად, რომლისგანაც 1941 წელს ქალიშვილი - მორინ ელიზაბეთი შეეძინა. 1945 წელს მათ ვაჟი მაიკლ ედვარდი აიყვანეს. რეიგანმა თავისი ოჯახი დიქსონიდან კალიფორნიაში გადაიყვანა. მათ სახლი უყიდა და მამას კარგი სამსახურიც უშოვა. პოლიტიკით სერიოზულად რეიგანი პოლიუელში დაინტერესდა. 40-იან წლებში პოლიუელში, ისევე, როგორც მთელ ამერიკაში, კომუნისტები გააქტიურდნენ. რეიგანი თანდათან ყალიბდებოდა ანტიკომუნისტურ კონსერვატორად. მეორე მსოფლიო ომში "რონი" არ წაიყვანეს ცული მხედველობის გამო. რეიგანი აცხადებდა, რომ ფაშისტურ არანაკლებ ბოროტება იყო კომუნისტი, რომლისგანაც ამერიკა უნდა ეხსნათ. 1947 წელს კარგად მოსაუბრე რეიგანი ეკრანის მსახიობების გილდიის თავმჯდომარე იყო და ხელფასების მომატებასაც მიაღწია. გილდიის თავმჯდომარე იყო და ხელფასების მომატებასაც მიაღწია. გილდიის თავმჯდომარე იყო და ხელფასების მომატებასაც მიაღწია. გილდიის თავმჯდომარე იყო და ხელფასების მომატებასაც მიაღწია.

ლებების" უპირატესობის ქადაგებაზე იყო დაფუძნებული. ბევრი მის პოლიტიკურ შესაძლებლობებს ეჭვით უყურებდა, მაგრამ მან მაინც შეძლო პრეზიდენტ ვაიში კარტერის დამარცხება, რომელსაც პირდაპირ ეთერში გამართული დებატებისას უთხრა: რას გააკეთებთ თქვენ უკეთესს, ვიდრე ამ ოთხი წლის განმავლობაში აკეთებდით?

1980 წელს მან არჩევნებში გაიმარჯვა და 1981 წლის 20 იანვარს ამერიკის ისტორიაში ყველაზე სოლიდურ ასაკში არჩეული პრეზიდენტი აკურთხეს. რეიგანი თეთრ სახლში 69 წლისა შევიდა, თუმცა, ამას ხელი არ შეუღია საუკუნის ყველაზე პოპულარული პრეზიდენტი გამხდარიყო. მისი პრიორიტეტები მთავრობაში კონარების მოწვევებზე და ამერიკის კიდევ უფრო გაძლიერება გახდა. 1981 წლის 30 მარტს რეიგანი 23 წლის მანიაკმა - ჯონ ჰინკლი უმცროსმა დაჭრა ვაშინგტონის სასტუმრო "ჰილტონთან". ტყვიამ გულთან ასლოს გაიარა და ფილტვი დაუზიანა. ოპერაციისას მან მიმართა ექიმებს: ბიჭებო, ხომ რესპუბლიკელები ხართ.

რეიგანის ეკონომიკურმა კურსმა 1983 წლიდან უკვე შედეგები გამოიღო და ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა იმატა. რეიგანი მეორე ვადით 1984 წელს აირჩიეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე 73 წლისა იყო. იგი ამერიკის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე ხშირი პრეზიდენტი. მან გააგრძელა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ფისკალური პოლიტიკა. რეიგანი ჩაუბა შეიარაღების მართაში და 35 პროცენტით გაზარდა თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება. ამერიკაში შიშობდნენ, რომ მისი პოლიტიკა მსოფლიოს კატასტროფას მოუტანდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა - მან აიძულა საბჭოთა კავშირი, ამერიკასთან მოლაპარაკებები დაეწყო.

სწორედ რეიგანის დროს ჩაეყარა საფუძველი პაუროსწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნას, რომელსაც "ვარსკვლავური ომებისთვის" უნდა გაეძღო. თუ პირველი ვადისას იგი ეკონომიკით ინტერესდებოდა, მეორე ვადის დაწყებიდან მიზნად "ცივი ომის" დასრულება დაისახა. მისი ანტიკომუნისტური სახე ამერიკის მორალურ უპირატესობად იქცა კომუნისტთან ბრძოლაში.

რეიგანმა დაიწყო საბჭოთა ლიდერ-

გორბაჩოვთან ხელი მოაწერა ისტორიულ შეთანხმებას სტრატეგიული იარაღის შემცირების თაობაზე ვეროპაში.

მანამდე კი იყო რეიგანის არაორდინარული "შეცდომა", რომელმაც კინაღამ ომი გამოიწვია. 1983 წლის 13 აგვისტოს, რეიგანმა იფიქრა, რომ გამოთვლ მიკროფონთან ჰქონდა საქმე და შეშფედი განცხადება გააკეთა: "ძვირფასო ამერიკელებო, მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ეს-ეს არის, ხელი მოვაწერე კანონპროექტს, რომელიც რუსეთს საბოლოოდ დასამარცხებს. ამერიკის სამხედრო ძალებს მიეცემა ბრძანება სსრკ-სთვის ატომური დარტყმის თაობაზე, რაც ხუთ წუთში დაიწყება", - ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მოჰყვებოდა ამ "ბოროტ ხუმრობას" გაგანა ცივი ომის დროს.

რეიგანი იყო ადამიანი, რომელმაც ისეთი ძლიერი დარტყმა მიაყენა საბჭოთა ბლოკს, რომ ის დაინერგა. ის, აგრეთვე, იყო ადამიანი, რომელმაც ამერიკული პოლიტიკური ცხოვრების სიმძიმის ცენტრი მარჯვენე გადაანაცვლა. მან კონსერვატიზმს აშშ-ში საპატიო სტატუსი დაუბრუნა. რესპუბლიკური პარტია, რომელსაც ნიქსონის ტრაველამ მიძიე დარტყმა მიაყენა, დაბნეული იყო იდეოლოგიის ძიებაში. რეიგანმა ერთი მუჰა "ნიუკონსერვატიზმით", რომელიც დემოკრატიული ბანაკიდან იყვნენ გამოსულიები, ამერიკელებს შესთავაზა მარტივი პროგრამა, რომლის საფუძველში ორი იდეა იდო: გადასახლების შემცირება და ანტიკომუნისტი.



მის საყვარელ ლოზუნგს - "სახელმწიფო - ეს გადაწყვეტა არ არის, სახელმწიფო - ეს პრობლემაა" - მას შემდეგ რესპუბლიკელების მიერ წარდგენილი კონგრესმენობის ყველა კანდიდატი იმეორებს. რეიგანმა, აგრეთვე, დიდი ხნით შეცვალა სასამართლო სისტემის იდეოლოგიური შეფერვალობა: თავისი მმართველობის წლებში მან 350-ზე მეტი მოსამართლე დანიშნა, მათ შორის ორი - უზენაეს სასამართლოში.

რეიგანი, რომელიც 2003 წელს ჩატარებული გამოკითხვით ამერიკის ისტორიაში ყველაზე პოლიტიკური ლიდერი იყო (მან აბრაამ ლინკოლნი და ჯონ კენედიც უკან ჩამოიტოვა), კალიფორნიაში, საკუთარი სახელობის ბიბლიოთეკის ენოში დაკრძალეს, პანაშვიდი კი ვაშინგტონის კათედრალურ ტაძარში გადაუხადეს, სადაც მისი ანდერძისამებრ, საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ინგლისის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა მარგარიტ ტეტჩერმა.

დაკრძალვას მთელი მსოფლიოს პოლიტიკური ფიგურები დაესწრნენ, მათ შორის პრინცი ჩარლზი, მიხეილ გორბაჩოვი, ჟაკ შირაკი... მოსაწყვეი არ მიუღია ელუარდ შევარდნაძეს...

იქნებ არ იყოს ამ სიტყვებში ისეთი სიტბო, ჩემს მრავალტანჯულ საქართველოს რომ ეჭირება, მაგრამ რა ვუყო, თუკი სისხლი თავისას ითხოვს და უნებლიედ, მარისს ვაყრი და ჭრილობას?! იქნებ ვერ ვითხრათ, თუ რა ჰქვია ამ ალტკინებას, ან პოეზია როგორ შეძლებს, თქვას ყველაფერი, რაც ჩვენს უბედურ მიწა-წყალზე მტერმა იწება... ჰგავს საქართველო კვლავაც არწივს -ჯერ ვერ აფრენილს. ჯერ ისევ დაჭრილს, დაჭრილს უღვთოდ და უმოწყალოდ. მტრები, რომ ისევ ყვავებივით დღესაც მიტინიან, მე ცას გავხედავ მე პირველად, როგორც საწამლავს და დედა თბილისს- მკერდმწერეულს და მხრებნისლიანს. მე გეფერებით, დავიღალე რადგან ლოდინით, ჩემო თევდორე, ჩემო ცოტნე, ჩემო ბერდია, „თავისუფლება, ბატონებო, მშვიდად არ მოდის, თავისუფლება მეამბოხე ხალხის ხვედრია“.

და აღსდგა ხალხი, ხალხი აზვირთდა და დაჰქრის სიო თავისუფლების, და, როგორც იქნა, დღეს საქართველოს ილიას ერთ ვესაუბრებით. და, როგორც იქნა, დღეს საქართველოს კვლავ ცოტნეს ერთ ვესაუბრებით, გაზაფხულია, მზე ძალას იკრებს და დაჰქრის სიო თავისუფლების.

* * *
რუსთაველზე მიტინგია და დროშების შრიალია, ამ წვას, ამ ფიქრს, ამ ოცნებას ერმა რა დრო შეაღია!... რუსთაველზე ზეიმია და ეუენების ჟღერიალია, ამ საოცარ ალტკინებას ერმა რა დრო შეაღია!... რუსთაველზე მზე ამოდის, სულიც ისე ზვიადია, სამშობლოა, მამულია, მერაბია, ზვიადია!... რუსთაველზე მიტინგია, განა ისევ წყვილია და მამულიც, ვით არასდროს, მთლიანია, დიადია!!! ხალხი ნათელს ელოდება, გმირთა სულის რიალია, რუსთაველზე მიტინგია და დროშების შრიალია.

* * *
და ამბობს სიტყვას აპრილის დამე ერი, რომელმაც გამოიღვიძა, უსინათლოთა შუქნამდგარ თვალებს ნეტავ, რა ლექსი უნდა მივიძღვინათ?!... როცა თქვენი ხმა დღესაც ჩამემსის, თქვენი სიმღერის ჰანგთა კრიალი, რომ არც ცხრა მასვილს შეუშინდებით და მტერს დახვდებით ქარიშხლიანი! მღერის თბილისი, ცეკვავს თბილისი და ერთმანეთი გვიყვარს საოცრად, ამ ერთიანმა შემოდინილმა ნეტავ ვიცოდე, ვინ გააოცა?!... ვინ, ვინ იფიქრა, რომ მზის ამოსვლას არ შეაგებოს ერი ტანჯული? ან ისევ ისე გააბატონოს ქართველთა ზედა ზვალაც სხვა რჯული?!... ო, არა, ვამბობ, სულში მზიანი ბორგავს იმედი, მზე - უნაპირო, გაზაფხულია და შენთან ერთად თავისუფლებას ველით, აპრილო!

* * *
ჩამოიკონკა სიყვარულის კრიალოსანი დღეები ჰგავნან სევდის საგვე, სნულ მიჯნურებს, ვხედავ, უფსკრულში იჩივება ჩემი მერანი, რომელსაც ახლა ვეღარავინ ვერ მომირჯულებს. კბილთა ღრვიანში უღამდებათ გრძნულ დემონებს და მათ ღიმილში ალბათ უფრო მეტი მზაია, - შენ უფრო გიყვარს საქართველო? - ხარ უბედური, - შენ უფრო გიყვარს საქართველო? - ნუ გიხარია, რადგან ბნელია და ნათელიც უკვე აღარ ჩანს, და ანგელოზად, ვხედავ, ეშმაკს როგორ სახავენ, ტყვიას გესვრიან შენი ქვეყნის სიყვარულისთვის და მკედარსაც შენ მიწაში არ დაგმარხავენ. დგას საქართველო და სივრცეებს ჩუმად გაჰყურებს და გზებიც ახლა, ალბათ, უფრო ბევრზე ბევრია,

„იქნებ ეს სამოთხე ავმა ქარიშხალმა და დრომ მიუნდობმა ვეღარ გადათელოს, როგორც არასოდეს, ისე შეივდომე ერთ მუშტად შეკრული ჩემი საქართველო!“ ეს სიტყვები მშრალ მიწარეკლამს ეკუთვნის, წიგნზე ბოლოთქმად რომ დაუმჩნევია. წიგნი კი „აპრილის სევდა“, 9 აპრილის ტრაგედიის ემოციებით თითქმის ერთ ამო-სუნთქვაში შექმნილი პატარა კრებული. ამ ლექსების ავტორს პოეტობაზე და დაფნის გვირგვინზე პრეტენზია არ გააჩნია, ის არის, რომ ტკივილი გულში ვერ დაიტია და ხმამაღლად თქვა. ტკივილი კი მართლაც მოუშუშებელ იარაგს ახლავს, აგერ 15 წლის შემდეგაც რომ საღბუნი არ დადებია და ისევ გვტკივა. „ხეები ლექსებით იფარჩებოდა“ - მაგრამ ისტორიას ამ ხის ფოთოლცვენის მხოლოდ რამოდენიმე ფოთოლი შემორჩა. არადა, ვინც მაშინ იქ ლექსებს კითხულობდა, დამერწმუნებით, რომ ქართულმა ტკივილმა, თავისუფლების ჩვენდამი ხვედრმა, მართლაც რომ შედეგები შექმნა. ამჯერად ხეზე არა, მაგრამ ჩვენი გაზეთის ერთ გვერდს 9 აპრილის ტკივილით ვავსებთ... ერთი მიზნით, შეგახსენოთ 9 აპრილი!

მაგრამ, რას იზამ, თვითონ ქრისტეც ვეღარ გიშველის საჭეთმპყრობელი როცა თავად ბელზებელია... და, ჰეი, ქარო, იქნებ სადმე გადააფრინო, მაგრამ მამული, ცრემლიანი, როგორ დავტოვო, როცა ავადმყოფს უკეთური დაუფლებია, როს საღვთისმშობლოს, ვხედავ ეშმა როგორ პატრონობს. და ბორგავს ისევ გულის გულში ცეცხლის ლადარი მამული გიყვარს სხვაზე მეტად - ხარ განწირული, მამული გიყვარს ღმერთის დარად - ტყვიაც მზად არი!... და თუკი მაინც დაავადდი ამ სიყვარულით. გთხოვ, მეგობარო, პატიება ზეცას შესთხოვე, შეგყვარებია სხვაზე მეტად შენი მამული? მაშინ მასაც და სიცოცხლესაც გამოეთხოვე!...

* * *
ვხედავ, ლერწამი - ეს მოცახცახე ქარიშხალს წელში გაულუნია, ხმა ამოიღეთ, ხმა ამოიღეთ, ბერო ლუხუშო და ლელთ-ლუნია! კვდება არწივი ფრთამოტეხილი, მომაკვდავს სული უნდა ვმთაბეროთ, ხმალი აიღეთ, ხმალი აიღეთ, ჩემო შავლეო და კახაბერო. დგას სევდიანი ქორიანიკონი, დრო მსტოვარ აწმყოს ელაქუცება, ამყად დგანან შადიმანები ქუცნა ბატონო და ნირუცველად - ამყად დგანან ლუარსაბებიც. ცოტნეებს თავი რად დაუხრიათ, ნუთუ სამშობლოს წმინდა ალაში დრომ შეუბღალა და დაუსხა?! იქნებ ჯაყობს ვერ გადაურჩით, იქნებ ამ დრომაც მოიყვარყვარა, ან ეს ამყი ქართული სული იქნებ შებილწა დროის ყყანმა?! არა! - ვამბობ და ზეცას გაყურებ, უფალო, - ჩვენი სულის სამტეხლოვ, შენ შეეწიე ამ ბოლო ლერწამს, რომ ქარიშხალმა არ გადატეხოს.

* * *
ვხედავ, იქუფება ნარიყალა, ბედი მართლაც ბეწვზე დაკიდულა, დღეს რომ იყიდება საქართველო, ისე არასდროს გაყიდულა. ვხედავ, ბურუსშია გახვეული მთაწმინდა და სევდით ავსებულია, დღეს რომ მუხლზე ხოხავს საქართველო, ისე არასოდეს დაცემულა... თბილისის დედას ვეღარ დაუძახებ, სული? - სულიც სევდით დაღარულა, დღეს რომ ძლივსდა სუნთქავს საქართველო, ისე არასოდეს დაღალულა... ირგვლვ წყვილია საშინელი და ყველგან კაენის სიცილია, დღეს რომ სისხლში ცურავს საქართველო, ისე არასოდეს უცურია... როგორ გაძარცულა საღვთისმშობლო ჩემი უწმინდესი ეკლესია, დღეს რომ ეკვნესება საქართველოს, ისე არასოდეს უკვნესია. იქნებ ილიაა მოსასვლელი, ამ წყლულს სულ სხვაგვარად შეუხვედა, დღეს რომ შემოგვეყურებს საქართველო, ისე არავისთვის შეუხედავს... და, ჰეი, ქართველნო, ვის მოვკითხოთ,


მურად მთვარელიძე



ნეტავ რა ჯანდაბა გვემართება, დღეს რომ ყველას გვემართებს ქართველობა, ისე არასოდეს გვემართება. * * *
ვერ ვეკითხები შიშით ტანჯვა-გამოვილილ მამულს თუ რა ღრმა ძილმა გაუნელა გულის ლადარი, ვხედავ მყინვარის მალალ შუბლზე სირცხვილის ალმურს და თერგი ღმუის მშფოთვარ გულში ბოლმანამდგარი. ვგრძნობ, მარღვი როგორ მეტყვება, შენ რომ გიყურებ, თითქმის დაცემულს, თითქმის წამხდარს და სულდაკოდილს როდის იღმუვლებ სიბრაზისგან, როდის იღმუვლებ, იქნებ მართლაც ძალა არ გყოფნის? ფეხს გადგამ მკერდზე, იქნებ ახლა მაინც გეშველოს, და ყურში მესმის მოხვეის ხმა: „- კაცნი ვიყავით, როს ჩვენი თავი გვეყუდნეს ჩვენვე“.

* * *
ამასობაში დაღამდა კიდეც და შუაღამის საოცარ ბინდში, ჩანს პატრიარქი, თუმცა კი მტკიცე, მაგრამ მწუხარე რაღაც სხვა ნიშნით. დგას პატრიარქი, როგორც წმინდანი, განხვეებული, როგორ მწუხარებს, ღმერთო, რა ხდება, რას გვიმზადებენ, - ღმერთო, რა ხდება, ერი მქუხარებს. - საშიშროება მოგვადგა კარზე, დრო დგება ლოცვის და გარინდების ამბობს დამარცვლით კათალიკოსი, - ღმერთო სისხლისღვრა აგვარიდენი! წავიდეთ აქვე გველის ქაშვეთი, ვილოცოთ, შევილნო, ლოცვის ჯერია, წავიდეთ ჩქარა, თორემ მე ვხედავ, მტერს რომ მახვილი მოუღერია... წავიდეთ, აქვე გველის ქაშვეთი, იქ შევაფაროთ სული და თავი, თორემ საფრთხეა მოსალოდნელი, ღმერთო ჩვენთან, წავიდეთ, ამინ! და მაშინ ერმა, ალბათ, პირველად, არ შეისმინა ხმა პატრიარქის, - ან აქ მოგვედებით, ან გავიმარჯვებთ, ვილაც პატრიარქს პირში მიახლის. ან აქ მოგვედებით, ან გავიმარჯვებთ, არა გვაქვს სხვა გზა, სხვა არჩევანი, რომ საბოლოოდ გადავარჩინოთ აგერ ქაშვეთის ვაზის მტევანი.


* * *
... აგერ კოჯორი - ჩვენი წარსული თავისუფლების ჩაკლული გული, აგერ კოჯორი, - სადაც ჩაწიხლეს მეამბოხეთა ამყი სული!... სადაც დაეცნენ, რომ აქ - თბილისში შავ ურჩხულს ფრთები ვერ გაეშალა, მაინც მოვიდნენ, მაინც დაგვიპყრეს, მაინც დაგვიცინეს ასე პირშავად. მას აქეთ ლამის შვიდ ათეულ წელს ჩუმად ვინახავთ სულს მეამბოხეს, დღეს ისტორია ამ შვიდ ათეულს მატეინდან რისხვით ამოხვეს!... და კვლავ აღდგება ქაქუცას ხატი, შავჩოხიანთა გულის ვარამით, რომ საქართველოს კვლავ აცილოს მონობა სულის - ეს შემწარავი. ეს სინამდვილე როდი წააგავს რაღაც მიეთს და მიეთს მოჭორილს, თავისუფლების უტყვე მონაწილედ თბილისის უძახის ახლა კოჯორი!



დიდი მუჩანის მონატრება

ოდესამ დიდი ყოფილა სამართველო

ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,
 ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
 ყოფილა დავით მეფე - აღმაშენებელი,
 ყოფილან ოპიზრები - გასამტერებელი;
 ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,
 რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...
 ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო,
 ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
 ყოფილა ნიკოფსიით - დარუბანდამდე
 გაჭენებული და გამოჭენებული;
 რტოებგამლილი და გამოჩინებული,
 ყოფილა ორ ზღვას შუა აღმოცენებული.
 ფიე, საქართველოს ჰყოლია ვასლები!
 თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები!
 ტევერი გვიწაღდია, ისე გვიზარდია,
 რომ გავმზადებულვართ ახალ ბიზანტიად.
 მაგრამ, უცაბედად მატლი არეულა,
 ბორბალი უკუღმა დატრიალებულა.
 ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი;
 მონღოლს მოჰყოლია თურქი და სპარსელი.
 ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ,
 სპარსეთს და ოსმალეთს შუახე გაუყვიათ.
 ჩამლილა თვალი და ჯაჭვი ჩარღვეულა.
 იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა.
 ითხ მეფეს სულ სისხლის ცრემლებით



გერგები პაპად, პაპის პაპად
 გერგები, ალბათ,
 ვარ დამეში და ასი წელი
 გაირბენს სწრაფად;
 არა თუ ხორცი,
 ძვალიც ჩემი როცა დამიწდეს,
 კავკასიონის მწვერვალები როცა
 ავერცხლდეს...
 "თენდება, პაპა!" - ჩამომძახო,
 არ დაგავიწყდეს!

უცრემლია,
 ოთხთავეს საბრალო ლექსები უწერია.
 - რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი!
 ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი...
 ამას მოჰყოლია: "ვაპ, დრონი! ვაპ, დრონი!"
 ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო,
 ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!

* * *
 ათასჯერ მიგასაკლავებენ,
 ათასჯერ სამართებლით დაგაკლავენ,
 საჯაროდ მიგასაფლავებენ,
 საჩქაროდ, ფაციფუცით დაგფლავენ,
 მწუხარედ გორიხებს დასწვდებიან,
 წესი არისო და მოგაყრიან,
 ალაპშიც სუპრის თავს დასხდებიან
 და ცრემლებს,
 ყალბ ცრემლებს, მოგიძღვნიან,
 მაგრამ რის მკვდარი და რა ცხედარი..
 სამარხი ყლორტებით გაგიჭრია,
 გაიხედავენ და რას ხედავენ,
 ამაყად ფრთები გაგიშლია,
 საკუთარ საფლავზე ამოსულხარ,
 და რაკი საფლავში წოლილხარ,
 უკორო, უხინჯო გამოსულხარ,
 კორძის ჭადარივით სწორი ხარ!
 ზეცისკენ შუბივით წამახული,
 მწარე ხარ, მაგრამ მოწყალეც ხარ,
 ათასჯერ ღალატით დამარხული,
 ათას მეერთედ ცოცხალი ხარ!
 შენი ნაფოტიდან გამოთლილი,
 ეს ჩანგიც ჯიუტად ენამწარობს,
 მურმან ლებანიძე მოგიკვდეს,
 მურმან ლებანიძე გენაცვალოს!


* * *
 ჯიხვი- ქარაფზე ხტის,
 ბუხს არ აიფრენთ, ქედებო!
 კავკასიით პონტის პირს
 ძირს ჩაკიდულხართ, ხედებო!
 მე რომ სიკვდილი მჭირს,
 ხომ შენგნით, ჩემო ედემო?!
 ამბავს წაუღებთ ვის,
 თქვენ, ფრინველებო ღვთის-
 წითელ-ფეხება მტრედებო?!

უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
 არადაღვრილის - დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...
 არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი, არ გამაჩნია!
 მე დავინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,
 თითხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია...
 არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია!
 მშვენიერია ორ-ზღვას-შუა კავკასის ხედი
 და კითხვა: " ვინ ვის?" ბებერ გულში ღაზვრად მანია...
 არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
 არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია!

 მარეკები შლიდნენ ბანაკს,
 ქარი ჩამო-ჩუმით ჰქროდა,
 ვიწექ, რომელიღაც ბალახს
 უცბად- ქალის სუნი ჰქონდა.
 თითქოს ურო დამკრეს თავში,
 თითქოს პაპაჩემი ცხონდა-
 ათას სურნელოვან შვავში
 ბალახს - ქალის სუნი ჰქონდა.
 სუნი ჰქონდა არა დალის,
 ლალის,-ციხფრის ანუ თეთრის,-
 სუნი- საზოგადოდ ქალის,
 სუნი- საზოგადოდ მდებრის...
 ღმერთო! ღმერთო! მე სულ ველი
 სიკვდილს- შენ მაცოცხლო ვინძლო,
 სანამ ვიცნო ეს სურნელი,
 სანამ ეს სურნელი ვიგრძნო!

პაწაწინა რტო ვარ...
 მეფერება მზე ალურსის მთხოვარს,
 ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა...
 მე მიგალობს, როდი მიმატოვა,
 თოხიტარა, პაწაწინა რტო ვარ...
 ქარი არხევს და ყვავილებს მაცლის,
 ყვავილს მომწვევებს, გაიტაცებს მინდვრად...
 დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი:
 პატარა ვარ, მოფერება მინდა!
 მითხარით: როგორ, როგორ ვანდო
 საიდუმლო აშარსა და მსტოვარს?
 მეზადეო, ნუ დამტოვებ მარტო,
 მეშინია, პაწაწინა რტო ვარ...

 - ვოი!
 რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
 ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
 ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ -
 ყინულის ლოგინში!..
 ვოი, კალა-უშგული შეკრებილა -
 ყანას და სათიბს მომცდარა.
 მთელი სვანეთი შეკრებილა,
 მთლად საქართველო შეკრებილა,
 შხარასთან ღრუბელივით მომდგარა...
 ვოი, შხარა სისხლით შეღებილა -
 კოხტა თიკანაძე მომკვდარა...
 ბექნუ ხერგიანს
 და ბექნუს ლომებს
 გურამის ნეშტი
 უპყრიათ ხელში,
 ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
 მშრალი ბურთები
 გასჩრიათ ყელში...
 გურამ თიკანაძეს შხარა აულია,
 რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
 საკუთარ ხელით პალო დაუგია,
 საკუთარ პალოზე მომწყდარა...
 ცოცხლისგან საყვედური აუგია-
 თოკი ერთადერთი ჩაუბია,
 თავი სიმამაცით წაუგია,
 ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!
 ბექნუ ხერგიანს
 და ბექნუს ლომებს
 გურამის ნეშტი
 უპყრიათ ხელში,
 ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
 მშრალი ბურთები
 გასჩრიათ ყელში...
 -"ხონა საკაცე გამითაღეთ,
 დავაწყო ხორცი და ძვალი,
 სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ,
 აღმართში კენესით ამიტანეთ,
 ვაკეზე მითხარით ზარი!..."
 უშგულში გამოვარდა ივდითი ნიჟარაძე,
 შეჰკვივლა, გაიწარა ლოყა;
 ფოსტლების ფლატუნით უხნესი დიაცი
 საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა:
 "თეთნულდმა რა მოგცა? უშმაზე რა გქონდა?
 შხარაზე რა გინდოდა, გმირო?!"
 ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა-
 რამ დაგაპატარავა, შეილო?!"
 ასი ცხენოსნით
 უშგული გახლავს
 და ბეჭზე მიღევს
 შენი საკაცე...
 შენ დაგეუფლა
 ძილი და დაღლა,
 შენ დასახარჯი
 უკვე დახარჯე...
 შენ გაიღვე
 ღრუბლებზე მაღლა,
 შენ საქართველოს
 დამე გახაზე...
 ასი ცხენოსნით
 უშგული გახლავს
 და მიტივტივებს
 შენი საკაცე...
 ვოი,
 რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
 ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
 ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ -
 ყინულის ლოგინში...
 გურამ თიკანაძეს შხარა აულია,
 რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
 თავი სიმამაცით წაუგია,
 ვოი-ვო, გურამი მომკვდარა...
 ცოცხლისგან საყვედური აუგია,
 ჩაუქი მაინც ჩაუქია-
 ვარსკვლავი ვარსკვლავებს მომწყდარა.



გამოიწიეთ მამული

სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის:

12 ნომერი საერთო ღირებულებით 12 დოლარი

24 ნომერი საერთო ღირებულებით 24 დოლარი

*უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი ვარიანტის უჯრედი

(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

(მიუთითეთ მხოლოდ ZIP-CODE და ტელეფონი)

იმ შემთხვევაში თუ კი გაზეთს საჩუქრად უწერთ მეგობარს, გთხოვთ შემოხაზოთ წრე სახელწოდებით **საჩუქარი** და ცალკე ფურცელზე დაურთეთ თქვენი მისამართი, მიიღება ჩეკი ან მანი-ორდერი შევსებული **MAMULI Newspaper** სახელზე.

MAMULI - P.O. Box 13121, Jersey City, NJ 07303

○ საჩუქარი

ჩვენი მიზანმიმართული

ჩვენი რედაქციის აგვისტოს თვეში დაბადებულიებს: **იზა სალუშვაძეს, კარინა მელიონს, მარინა ტაბიძეს, ანზორ მუშაშვილს და ნუკრი კოჭლამაზიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უღვევ სიხარულს.

ქართულნი თანამემამულნი!

გაცნობებთ რომ ნიუ-ორკის წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიისათვის საქართველოში, საუკეთესო ხატმწერის შესრულებით იწერება დიდი ზომის შემდეგი ხატები: 1) ყოვლადწმინდა სამების; 2) ყოველთა ქართველთა წმინდანთა - „ზეციური საქართველო“; 3) ყოველთა ამერიკის წმინდანთა, 4) სახარების 4-თავ მოციქულთა - იოანე, ლუკა, მარკოზი, მათე. რომლებიც არცთუ მცირე თანხებს საჭიროებს. გთხოვთ შემოგვიერთდეთ თქვენი შესაძლებლობისამებრ ამ წმინდა საქმეში, რომელიც ჩვენს ეკლესიასა და თანამემამულეებს დიდ სულიერ შეწევნას, მადლსა და სიხარულს პირდება.

აგრეთვე ჩვენს ეკლესიაში შეგიძლია შეიძინოთ საქართველოდან ჩამოტანილი ახალი აღთქმა, ბიბლია, ფსალმუნები, ლოცვანი, მრავალფეროვანი საეკლესიო ლიტურატიურა, წმიდანთა ცხოვრება, წმ. მამათა დარიგებანი და სწავლანი, დაუჯდომელი საგალობლები სხვადასხვა წმინდანებისა, აგრეთვე ხატები და სხვა საეკლესიო ნივთები. ვიღებთ შეკვეთებსაც.

დაგვიკავშირდით წმ. ნინოს სამრეკლოს საეკლესიო საბჭოს ტელეფონებზე: 732-843-4673; 732-814-2338; 347-613-6073; 718-614-2376.

ჩეკი ან მანი-ორდერი შეგიძლიათ გამოაგზავნოთ:

**ST. NINO'S GEORGIAN CHURCH
P.O Box 351160, Brooklyn NY, 11235**

მიუთითეთ რომ ხატებისათვის შესაწირი თანხაა.

Georgian DVD



შეიძინეთ ქართული მუსიკალური გიგანტების კრებულები DVD-ზე

პირველი დისკი:

მაია ჯაბუა, მერაბ სეფაშვილი, „ჭუჩის ბიჭები“ და ნინო ქარსელაძე, დათო ხუჯაძე, „ფორტე“, თემურ თათარაშვილი და თიკა ხეცურიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, გია როინიშვილი, ზუკა ხუციშვილი, ბასტი-ბუბუ, უცნობი, მარიკა თხელიძე, სალომე გასვიანი, „ვაკის პარკი“, ანა ჯაკი..

მეორე დისკი:

ჯგუფი „საუნდი“, თემურ თათარაშვილი, უცნობი, ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, მაია ჯაბუა, დათო ევგენიძე, მერაბ სეფაშვილი, ანრი ბასილია, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ლელა წურწუშია, სოსო პავლიაშვილი, დათო ხუჯაძე, ზუკა ხუციშვილი, „ფორტე“, ბასტი-ბუბუ, სალომე გასვიანი...

გამოაგზავნეთ **Check-ი** ან **Money Order-ი**:

გთხოვთ გადასახადთან ერთად ცალკე ფურცელზე მოგვაწოდოთ თქვენი სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი!

**PEPELA LLC
244 Fifth Avenue, suite 2721
New York, NY 10001**

შეიძინეთ დღეს და დაზოგეთ!
ერთი DVD \$15.00 ან ორივე DVD \$25.00
ორივე შემთხვევაში გამოგზავნა უფასოა!
იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!



MAMULI DESIGN

მიიღეთ მონაწილეობა პირველი ქართულ-ამერიკული მხატვრული ფილმის შემქნაში!!!

ნიუ იორკში მცხოვრები ახალგაზრდა ქართველი რეჟისორი, რომელიც სწავლობს ამერიკის ყველაზე პრესტიჟულ კინოსწავლებელში და რომელსაც უკვე გადაღებული აქვს ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი ქართველ ემიგრანტებზე, მუშაობს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარზე, რომლის პირობითი, სამუშაო სახელწოდებაცაა „ქართული ამერიკა“.

ფილმი ჩაფიქრებულია, როგორც 90-იანი წლების ბოლოს ახალგაზრდა ქართველი კაცის ან ქალის ამერიკაში ჩამოსვლის, აქ სამუშაოდ დარჩენისა და საბოლოოდ ისევ სამშობლოში დაბრუნების ისტორია. ჩვენი მიზანია, რომ ფილმმა ერთგვარად გააერთიანოს და მოიცვას ათასობით ჩვენი თანამემამულის ამერიკული გამოცდილება და უცხოეთში მცხოვრები თანამედროვე ქართველის სიმბოლური სახე შექმნას.

ფილმი უნდა გახდეს ერთგვარი დოკუმენტი, რომელიც ასახავს თუ რა სირთულეები გამოიარეს ქართველებმა, რომ ამერიკაში დამკვიდრებულიყვნენ და უმძიმესი, ხშირად დამამცირებელი შრომის ფასად ათეულობით და ასეულობით ადამიანი შეენახათ საქართველოში.

ფილმი ჩაფიქრებულია როგორც ტრაგიკომედია, რადგანაც გაკვირვებას, ღვთის წყალობით, ყოველთვის თან სდევს ღიმილი, იუმორი და სიმღერა, მითუმეტეს როდესაც საქმე ქართველებს ეხება.

ჩვენ გვჯერა, რომ იმისათვის რომ ფილმი საინტერესო, ყველასათვის ახლებელი, მისაღები და ემოციურად დატვირთული გამოვიდეს, აუცილებელია რომ სცენარი მაქსიმალურად რეალურ ფაქტებზე იყოს აგებული.

მითუმეტეს, რომ ყველასათვის ცნობილია, რომ ბევრ ქართველს თავისი მართლაც ყოველმხრივ საინტერესო „ამერიკული“ ისტორია და გამოცდილება აქვს.

სწორედ ამიტომ მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, რომ გაგვიზიაროთ თქვენი ისტორიები, ამერიკული თავგადასავლები, ცხოვრების რეალურ ფაქტები, თქვენი ტყვილი, სიცილი, აზრები, გამოცდილება და სცენარის შექმნაში დაგვეხმაროთ.


გთხოვთ არ დაიზაროთ, არ მოგერიდოთ და დაგვირეკოთ, მოგვწეროთ, შეგვხვდეთ, მოგვიყვით და ამით ახალი ქართული ფილმის შექმნაში მიიღოთ თქვენი უშუალო მონაწილეობა.

ჩვენ მზადა ვართ მოვუხმინოთ ყველას თქვენთვის მოსახერხებელ დროს.

თქვენი ვინაობა სურვილის მიხედვით დარჩება ინკოგნიტოდ ან მოხსენიებული იქნება ტიტრებში.

ჩვენ მზადა ვართ ნებისმიერი, თქვენთვის მისაღები ფორმით ვითანამშრომლოთ, რადგანაც გვჯერა რომ საერთო ძალებით მართლაც კარგი კინოფილმის შექმნა შეიძლება, ფილმისა, რომელიც მსოფლიოს კიდევ ერთხელ, ამჯერად სხვა კუთხით გააცნობს ქართულ სამყაროსა და ღირებულებებს და ამერიკასა თუ სხვა ქვეყნებში მიმოფანტული ქართველების დაკავშირებას, გაერთიანებას, გამხსნევას, სულიერ გაძლიერებასა და შედეგად სამშობლოში დაბრუნებას შეუწყობს ხელს.

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: 1(917) 701-1320
ლევან კოლუაშვილი
e.mail: lk524@nyu.edu



ნახაით! ნახაით! ნახაით! SINCE OTAR LEFT... რაც თქმანი ჩავუღდა...

ჯულია ბერტოლინის ფილმში
ქართული ემიგრანტის ცხოვრება



ყინო-თერაპიები:

www.zeitgeistfilms.com

NEW YORK Lincoln Plaza Cinemas, LOS ANGELES Laemmle's Music Hall 3, BETHESDA MD Bethesda Row Cinema, PLEASANTVILLE, NY Jacob Burns Film Center, SAN LUIS OBISPO, CA Palm Theatre, MALVERNE, NY Malverne Cinema, KEW GARDENS, NY Kew Gardens Cinema, MONTCLAIR, NJ Roberts Wellmont Theatre, BOSTON Museum of Fine Arts, PHILADELPHIA, PA Ritz 5, VOORHEESE, NJ Ritz Vorhees, STAMFORD, CT Avon Theatre, BERKELEY, CA Shattuck Theatre, SAN FRANCISCO Opera Plaza Cinema, SAN RAFAEL, CA Rafael Film Center, RHINEBECK, NY Upstate Films, ROCHESTER, NY Little Theatre, SANTA FE, NM The Screen, PITTSBURGH, PA Harris Theatre, TUCSON, AZ The Loft.



- | | | |
|-------------------|---------------------|--------------------------------------|
| WATERVILLE, ME | 2-8 ივლისი | Railroad Square Cinema |
| GAINESVILLE, FL | 2-8 ივლისი | Hippodrome Theatre |
| MONTPELIER, VT | 9-15 ივლისი | Savoy Theatre |
| SACRAMENTO, CA | 9 ივლისიდან | The Crest |
| CHICAGO, IL | 16 ივლისი | MusicBox |
| ST. JOHNSBURY, VT | 16-22 ივლისი | Catamount Arts |
| DENVER CO | 23 ივლისიდან | Starz Film Center |
| OLON, OH | 23 ივლისიდან | Cedar Lee |
| SILVER CITY, NM | 25 ივლისი | WNMU International Film Society |
| WILKES BARRE, PA | 27 ივლისი | F.M. Kirby Center |
| MACON, GA | 8 აგვისტო | Douglass Theatre |
| HANOVER, NH | 12 აგვისტო | Hopkins Center Film |
| FRESNO, CA | 13 აგვისტო | Fresno Filmmakers |
| GRAND RAPIDS, MI | 20 აგვისტო- 2 სექტ. | Urban Institute for Contemporary Art |
| CLEVELAND, OH | 21-22 აგვისტო | Cleveland Cinematheque |



საქართველოს

ჰიმნი

მადრიდი

ჩემი ხატია სამშობლო,
სახსტე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაუარია დემერთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უძღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება!